

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ვასილ ელიზბარაშვილი

დაკავებისა და დაპატიმრების დასაბუთების სამართლებრივი საფუძვლები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირაკლი იმერლიშვილი

ასოცირებული პროფესორი

2019 წელი



## შინაარსი

შესავალი -----	4
თავი I. დაკავება, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება -----	7
1.1. დაკავების საფუძველი -----	10
1.2. დაკავების უფლება და იმუნიტეტი დაკავებისას -----	20
თავი II. დაპატიმრების დასაბუთების სამართლებრივი საფუძველები -----	38
2.1. გარემოებები, რომლებიც წარმოადგენს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საფუძველს -----	43
2.2. ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლა -----	49
2.3. ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე -----	53
2.4. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა -----	54
2.5. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების ვადა -----	58
2.6. პატიმრობის ვადის ხანგრძლივობის გადასინჯვის პერიოდულობა -----	59
2.7. არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება -	63
2.8. საპროცესო იძულებითი ღონისძიებების ზოგადი მიმოხილვა დასავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით-----	65
დასკვნა -----	70
გამოყენებული ლიტერატურა -----	75

## შესავალი

„ადამიანის თავისუფლება“ დემოკრატიული საზოგადოების ფუძემდებლური ფასეულობაა და ბევრი სხვა უფლებებისა და თავისუფლებების სრული განხორციელების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს.<sup>1</sup> საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითა და ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული ადამიანის თავისუფლება ინდივიდის დამცავი ერთ-ერთი ძირითადი და წარუვალი ღირებულებაა, რომლის მიზანია ადამიანის დაცვა თვითნებური დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვისაგან სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. ის აღიარებულია როგორც ისტორიული შიდასახელმწიფოებრივი დოკუმენტებით, მათ შორის 1215 წლის თავისუფლების დიდი ქარტიით, აშშ-ისა და საფრანგეთის კონსტიტუციებით, ჰაბეას კორპუს აქტით, ისეთი საერთაშორისო დოკუმენტებით, როგორებიცაა; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, ასევე არაერთი რეზოლუციით. მას ითვალისწინებდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაც.<sup>2</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი განამტკიცებს ადამიანის უმნიშვნელოვანეს უფლებას - ადამიანის თავისუფლებას და მის გარანტიებს. აღიარებული აქსიომაა, რომ პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების ეფექტიანი უზრუნველყოფის გარეშე სხვა დანარჩენი უფლებების დაცვა ილუზიაა. სწორედ ამიტომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირის მიერ ამ უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი საკუთარი ნებით ჩაბარდება ხელისუფლების ორგანოებს და თანხმობას განაცხადებს დაკავებასა და დაპატიმრებაზე, ეს არ ათავისუფლებს სახელმწიფოს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დადგენილი გარანტიების დაცვის მოვალეობისაგან, კონსტიტუციის ნორმით

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მე-2, 2013, 130.

<sup>2</sup> ლალი ფაფიაშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, სტატიათა კრებული, 2010, 163.

უზრუნველყოფილი გარანტიები მოქმედებს ყველას მიმართ, მიუხედავად იმისა, პირი არის თავისუფალი თუ იგი დაკავებული ან დაპატიმრებულია. თავის მხრივ, ადამიანის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და კონსტიტუცია უშვებს მასში „ჩარევის“ (შეზღუდვის) შესაძლებლობას. ამ შემთხვევისთვის კონსტიტუციის ნორმით დაცვის გარანტიები მკაცრადაა გაწერილი იმდენად, რამდენადაც იგი მიუთითებს იმ გარემოებებზე, თუ როდისაა შესაძლებელი ადამიანის დაკავება ან დაპატიმრება და განსაზღვრავს იმ ფარგლებს, რომლებიც იცავენ პირს უკანონო თავისუფლების შეზღუდვისაგან.

„საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული „ადამიანის თავისუფლება“ არ მოიცავს თავისუფლების ყველა ასპექტს, როგორც ეს ამ ტერმინის სიტყვასიტყვით წაკითხვის შემდეგ შეიძლება წარმოჩინდეს. მაგალითისთვის, საქართველოს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებით დაცულია სიტყვის თავისუფლება, რწმენის თავისუფლება, ინფორმაციის თავისუფლება, შემოქმედების თავისუფლება და ა.შ. რაც შეეხება „ადამიანის თავისუფლებას“, იგი გულისხმობს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას, მის უფლებას, თავისუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად იმყოფებოდეს, ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე. ადამიანის თავისუფლება არის მისი გადაადგილების თავისუფლება ვიწრო გაგებით. თუმცა აშკარად განსხვავებულია იმ ჩარევების ინტენსიურობა და სიმძიმე, რომლისგანაც ამ უფლებას იცავს კონსტიტუცია.<sup>3</sup>

სს პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შეფასებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს პიროვნების თავისუფლების შემზღუდველი საპროცესო იძულების ღონისძიებების საკანონმდებლო რეგლამენტაცია და გამოყენების პრაქტიკა წარმოადგენს და ეს არა მარტო იმიტომ, რომ პიროვნების თავისუფლების და უსაფრთხოების ეფექტიანი უზრუნველყოფის გარეშე სხვა დანარჩენი უფლებების დაცვა

---

<sup>3</sup>ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, [www.legalportal.ge](http://www.legalportal.ge)

ილუზიაა,<sup>4</sup> არა მარტო იმიტომ, რომ მისი შეზღუდვა იმავდროულად იწვევს მასთან დაკავშირებული ბევრი სხვა უფლების შეზღუდვასაც (მაგ., გაერთიანების, გადაადგილების, შეკრების და ა.შ), შეუძლია პირდაპირ შეუშალოს ხელი კონვენციით გარანტირებული ბევრი უფლების განხორციელებას– ოჯახური და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვიდან საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლებამდე, არამედ იმიტომ, რომ დაპატიმრება გარკვეულწილად ლახავს ერთდროულად უდანაშაულობის პრეზუმფციის და შეჯიბრებითობის პრინციპებს, ართულებს ბრალდებულის მიერ დაცვის ჯეროვნად განხორციელებას პირადად თუ ადვოკატის მეშვეობით.

საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლი აღიარებს პიროვნების თავისუფლების პრეზუმფციას, ხოლო სსსკ, რომელიც ემყარება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლი ძირითად პრინციპებსა და დებულებებს, ამკვიდრებს სს პროცესში თავისუფლების შეზღუდვის საერთაშორისო სამართლით დადგენილ სტანდარტებს და კრიტერიუმებს, მათ შორის კონვენციით გათვალისწინებულ ისეთ ცნებებს, როგორებიცაა დასაბუთებული ვარაუდი, თავისუფლების შეზღუდვის ვადის გონივრულობა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი.

---

<sup>4</sup> Human Rights in Administration of Justice: a Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, UNITED NATIONS, New York and Geneva, 2003 p. 161.

## თავი I. დაკავება, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება

სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა შორის, დაპატიმრებასთან ერთად ცენტრალური ადგილი უჭირავს ადამიანის თანდაყოლილი ფუნდამენტური უფლების პიროვნების ხელშეუხებლობის, მისი თავისუფლების მეტად უხეშად ხელმყოფ ისეთ ღონისძიებას, როგორცაა პირის დაკავება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი ადგენს, რომ „პირს თავისუფლება შეიძლება შეეზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, ამავე მუხლის III ნაწილის მიხედვით, დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სასამართლოს, ან სხვა მოხელეს, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სასამართლო ხელისუფლება. დაკავებულს უფლება აქვს, გონივრულ ვადაში გადაწყდეს მისი დაკავების კანონიერების საკითხი, ან გათავის-უფლდეს საქმის სასამართლო განხილვამდე.“<sup>5</sup>

დაკავებასთან დაკავშირებით ძირითად დებულებებს შეიცავს საქართველოს კონსტიტუცია, ხოლო უფრო დეტალურად აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მიუხედავად იმისა, რომ დაკავების ვადა ხანგრძლივი არ არის (არა უმეტეს 72 საათისა) სწორედ ამ პერიოდში ხდება იმ ძირითადი მტკიცებულებების მოპოვება, რაც გავლენას ახდენს საქმის შემდგომ პერსპექტივაზე, პირისათვის დასაბუთებული ბრალდების წარდგენაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე პრაქტიკული თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დაკავებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების სიზუსტესა და არაორაზროვნებას.<sup>6</sup>

<sup>5</sup> ფილიპ ლიჩი - როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, 2013. 196.

<sup>6</sup> დავით ლეჟერტი-დაკავება, როგორც სისხლის სამართლებრივი საპროცესო იძულებითი ღონისძიება, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის მიხედვით, აღმანახი 2004 №19.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, როგორც ცნობილია, კონსტიტუციის შესაბამისად, ორიენტირებულია ადამიანის უფლებათა დაცვისა და, კერძოდ, დაკავების ინსტიტუტის სამართლებრივი რეგლამენტაციის თანამედროვე სტანდარტზე.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისი 170-ე მუხლის თანხმად, მსგავსად 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსისა, დაკავება განმარტებული, როგორც თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა. თავისმხრივ პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან.

საპროცესო კოდექსისი 170-ე მუხლის თანახმად დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა, განსხვავებით წინა საპროცესო კოდექსისაგან იცნობს მხოლოდ დაკავების ერთ სახეს, ბრალდებულის დაკავებას. 1998 წლის საპროცესო კოდექსისი თანახმად არსებობდა ორი სახის დაკავება, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის. ეჭვიმატანილად მიიჩნეოდა პირი, რომლის მიმართაც არსებობდა გონივრული ეჭვის საფუძველი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, მაგრამ ამგვარი ეჭვი არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ წაყენებულიყო ბრალდება. გამომდინარე იქიდან, რომ დაკავებული ბრალდებულის სტატუსით სარგებლობდა მას შემდეგ, რაც ბრალდების მხარე გამოტანილ ბრალდების დადგენილებას გააცნობდა დაკავებულს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნულ ეტაპამდე დაკავებული სარგებლობდა მხოლოდ ეჭვმიტანილის უფლებებით და არ ჰქონდა შესაძლებლობა სრულად ესარგებლა ბრალდებულის უფლებებით, მიუხედავად თავისუფლების შეზღუდვისა. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა, როგორც აღვნიშნე დაკავებულს დაკავების მომენტიდანვე მიიჩნევს ბრალდებულად და აძლევს შესაძლებლობას სრულად ისარგებლოს ბრალდებულის უფლებებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისი თანახმად პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. სსსკ-170-ე



მუხლი არ აკეთებს დათქმას იმის თაობაზე, თუ ვის მიერ თავისუფლება აღკვეთილი პირი ჩაითვლება დაკავებულად და შესაბამისად ბრალდებულად. მაგალითად, პირი რომელსაც პოლიციელი აკავებს დანაშაულის ჩადენისას, თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდანვე ითვლება დაკავებულად. საინტერესოა, ჩაითვლება თუ არა პირი დაკავებულად, რომელსაც საგამომიებო ორგანოში მიყვანის მიზნით, თავისუფლებას უზღუდავს დაკავების უფლებამოსილების არ მქონე პირი, რიგითი მოქალაქე. უშუალოდ ამ საკითხთან დაკავშირებით, სსსკ-ის 170-ე მუხლი შესაბამის დათქმას არ აკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ 172-ე მუხლით განსაზღვრავს დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს. აღნიშნული მუხლი შემოიფარგლება მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენით, რომ თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდანვე პირი მივიჩნიოთ დაკავებულად. ხოლო სსსკ-ის 196-ე მუხლი, საგამომიებო ორგანოს ავალდებულებს, რომ ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან 48 საათში მიმართოს სასამართლოს ბრალდებულის პირველი წარდგენისა და აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე. მაგალითად, თუ პირი დაკავებულ იქნა დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, რიგითი მოქალაქის მიერ საგამომიებო ორგანოში წარდგენის მიზნით, დღის 12 საათზე, ხოლო თავისუფლება შეზღუდული პირის საგამომიებო ორგანოში მიყვანა, შესაბამისი განყოფილების სიშორის გამო განხორციელდება 18 საათზე, როდიდან ჩაითვლება პირი დაკავებულად? რა დრო უნდა მიეთითოს პირის დაკავების ოქმში, დღის 12 თუ 18 საათი?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მეტ სიფრთხილეს იჩენდა 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანხმად „, პირი დაკავებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე დაკავებისათვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხდება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებული თავისუფლების შეზღუდვა, პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანის მიზნით.<sup>7</sup> ე.ი

---

<sup>7</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 141.

დაკავებული ეწოდებოდა იმ პირს, რომლის თავისუფლების შეზღუდვა ხორციელდებოდა დაკავებისათვის საგანგებო უფლებამოსილი პირის მიერ.

აღნიშნული საპროცესო განაწესი გამომდინარეობდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტიდან, რომლის თანახმად „ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებო უფლებამოსილი პირის მიერ“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის შესაბამისად, პირი დაკავებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მას თავისუფლებას უზღუდავს ამავე კოდექსის 172-ე მუხლით გათვალისწინებული დაკავების უფლებით აღჭურვილი პირი ან როდესაც არაუფლებამოსილი პირის მიერ თავისუფლება შეზღუდული პირი გადაეცემა საგამომიებო ორგანოს. შესაბამისად ზემოთ ხსენებული მაგალითთან დაკავშირებით, პირის დაკავების ოქმში ფაქტობრივი დაკავების დროდ უნდა მიეთითოს 18 საათი, ნაცვლად 12 საათისა, ვინაიდან საპროცესო კოდექსის 196 მუხლის თანახმად საგამომიებო ორგანოს გააჩნია 48 საათიანი ვადა, რათა უზრუნველყოს იმ მტკიცებულებათა მოძიება, რომელიც შექმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს პირის ბრალდებისათვის. აღნიშნული 48 საათიანი ვადა თავის მხრივ აითვლება, მას შემდეგ, რაც ბრალდების მხარე განუმარტავს დაკავებულს უფლებებსა და შეადგენს დაკავების ოქმს.

### **1.1. დაკავების საფუძველი**

თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვა უნდა იყოს განსაკუთრებული ღონისძიება, ობიექტურად დასაბუთებული და არ გრძელდებოდეს აბსოლუტურად აუცილებელზე მეტ ხანს. თავისუფლების შეზღუდვასა და თავისუფლებაზე ყოფნის უფლებას შორის ბალანსის დასაცავად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, ერთი მხრივ, ბრალდებულისა და დაზარალებულის უფლებები და, მეორეს მხრივ საზოგადოების ინტერესები დანაშაულის პრევენციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით. თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, ძირითად უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს -

მართლმსაჯულების განხორციელებას. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თავისუფლების შეზღუდვა უნდა განიხილებოდეს როგორც გამონაკლისი და ნებადართული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს მისი გამოყენების აუცილებლობის დამაჯერებელი არგუმენტაცია, უნდა იყოს პროპორციული საშუალება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიერ დადგენილი მიზნებისა და მთავარი მიზნის-მართლმსაჯულების განხორციელების მისაღწევად და არ უნდა დააწვეს ამ ღონისძიების ადრესატს გადამეტებულ ტვირთად.<sup>8</sup>

ბრალდებულის მიმართ დაკავება-დაპატიმრების გამოყენება შეიძლება გამართლებულ იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ჭეშმარიტი საჯარო ინტერესი, რომელსაც უდანაშაულობის პრეზუმციის მიუხედავად, შეუძლია გადაწონოს პირის თავისუფლების მოთხოვნა.<sup>9</sup> თავის მხრივ, მისი არსებობა დგინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ასეთ გარემოებად, ევროპული სასამართლო და სსსკ მიიჩნევენ მიმალვის, მტკიცებულებათა განათღურების, მოწმეებზე ზემოქმედების, ახალი დანაშაულის ჩადენის (და ა.შ) განხორციელების გზით საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხეს. მისი გამოყენება ასევე დასაშვებია, როდესაც იგი აშკარა და მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საზოგადოებას და ეს საფრთხე შეუძლებელია სხვაგვარად იქნეს აღკვეთილი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია“. მუხლში დასახელებულია ერთი დაცული სამართლებრივი სიკეთე: გადაადგილების თავისუფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ადამიანის თავისუფლება გულისხმობს მის ფიზიკურ თავისუფლებას, მის უფლებას, თავისუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე. კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის თავისუფლება არის მისი გადაადგილების თავისუფლება

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება #2/1/415, 6 აპრილი, 2009 წელი

<sup>9</sup> ლალი ფაფიაშვილი. თავისუფლება შემზღუდველი საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების საერთაშორისო - სამართლებრივი სტანდარტები. 2010. 3.

ვიწრო გაგებით. მისი შეზღუდვისას კონსტიტუციით დადგენილია მკაცრი სამართლებრივი სტანდარტები. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, ადამიანის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და მასში ჩარევა შესაძლებელია მკაცრი კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც იცავს ნებისმიერ ადამიანს შესაძლო სახელისუფლებო თვითნებობისაგან.<sup>10</sup>

ანალოგიური საკითხის მარეგულირებელი ევროპული ნორმის – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის („თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება“) პირველი აზნაცი მეორე სამართლებრივ სიკეთედ ასახელებს პირად ხელშეუხებლობას. მართალია, საქართველოს კონსტიტუციის მითითებულ ნორმაში ამ მეორე სამართლებრივ სიკეთეზე პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ „ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობა“ მოიცავს ამ სიკეთესაც.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე, ვინაიდან არ არის შესაძლებელი იურიდიული პირის დაკავება, დაპატიმრება ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა.<sup>11</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავების საფუძვლები კი კონსტიტუციაში უშუალოდ მითითებული არ არის. თუ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ანალოგიური მე-5 მუხლის პირველი აზნაცის მე-2 წინადადებით ვიხელმძღვანელებთ, იქაც მითითებულია თავისუფლების აღკვეთის დასაშვებობაზე მხოლოდ კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, მაგრამ იქვე მითითებულია ექვსი საფუძველი, რომლებიც ასევე გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის ინტერპრეტაციისათვის. საქარ-

<sup>10</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის № 2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.მე-2-მე-3 პუნქტები.

<sup>11</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის № 2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.მე-3 პუნქტი.

თველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და სხვა კანონებში დაკავებისა თუ დაპატიმრების საფუძვლები უნდა შეესაბამებოდეს ამ კონვენციურ ნორმას, რომ იგი იმავდროულად წინააღმდეგობაში არ მოვიდეს საქართველოს კონსტიტუციასთან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, არსებობს დაკავების ორი სახე, დაკავება სასამართლოს განჩინებით და სასამართლო განჩინების გარეშე. თუმცა დაკავების ორივე სახეს გააჩნია საერთო მახასიათებელი, დაკავებისათვის საჭირო სამ იარუსიანი საფუძვლის სახით, კერძოდ:

- 1) უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული;
- 2) აღნიშნული დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულ უნდა იყოს თავისუფლების აღკვეთა;
- 3) ამასთანავე პირი მიიმალევა ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩიდენს ახალ დანაშაულს,

სწორედ აღნიშნული სამი გარემოების ერთობლივი არსებობა, რთავს დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს უფლებას, პირის მიმართ იძულებითი ღონისძიების სახით გამოიყენოს დაკავება.

ძირითადი განსხვავება, მიუხედავად დაკავების ფაქტობრივი საფუძვლების აბსოლუტური იდენტურობისა, მოქმედ და წინა საპროცესო კანონმდებლობაში, მდგომარეობს შემდეგში: 1998 წლის საპროცესო კოდექსის თანხმად პირის დაკავებისათვის, ზემოთ ხსენებულ სამი ფაქტობრივი გარემოების არსებობისას, არ იყო საჭირო სასამართლოს განჩინება. მოქმედი კანონმდებლობის თანხმად პირის დაკავებისათვის აუცილებელია, რომ გამოძიების ადგილის მიხედვით, პროკურორმა მიმართოს სასამართლოს, რათა გამოიტანოს განჩინება პირის დაკავების თაობაზე.

პირის დაკავებისათვის, სასამართლოს განჩინებით თუ სასამართლოს განჩინების გარეშე, აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, მის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თავისუფლების შეზღუდვის თითოეულ საფუძველს, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაჩნ „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტზე ამახვილებს. კონვენციის მე-5(1)(გ) ქვეპუნქტი კანონიერად აღიარებს „პირის კანონიერ დაკავებას ან დაპატიმრებას უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძველიანი ეჭვი, ან საფუძველიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენისა თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა“. სწორედ ამიტომ, სსსკ დაკავების გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი პირის მიერ დანაშაულის ჩადენისა და მისი თავისუფლების შეზღუდვის გარეშე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საფრთხის შექმნის თაობაზე.

აღნიშნული გულისხმობს, რომ ვარაუდი უნდა ეხებოდეს:

1. ისეთი ქმედების ჩადენას, რომელიც შეიცავს სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, თუმცა არ გულისხმობს დანაშაულის ჩადენის ფაქტის უდავოდ დადგენას.
2. თავისუფლება შეზღუდული პირის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას. ვინაიდან, თუ არ არსებობს სავარაუდო დანაშაული, არ არსებობს დაკავების მთავარი მიზანი - მართლმსაჯულების განხორციელება.
3. ვინაიდან სსსკ-ის 171 მუხლის პირველი ნაწილი დაკავების გამოყენებას უშვებს იმ დანაშაულის შემთხვევაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, ამიტომ დაკავებაზე უფლებამოსილი პირი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პირის მიერ, რომელსაც აკავებს დანაშაულის ჩადენისათვის, ჩადენილია ისეთი დანაშაული რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

4. პირის მიმალვას, სასამართლოში გამოუცხადებლობას, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებას ან ახალი დანაშაულის ჩადენას.

სსსკ-ის მე-3 მუხლი დასაბუთებულ ვარაუდად მიიჩნევს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომლებიც მოცემულ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, სსსკ არ ითვალისწინებს და ვერც გაითვალისწინებდა „დასაბუთებული ვარაუდის“ საფუძვლების ჩამონათვალს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეჭვი კეთილსინდისიერად არის წარმოშობილი, მას არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება, თუ არ არსებობს ფაქტები ან ინფორმაცია, რომელიც დაარწმუნებს ობიექტურ დამკვირვებელს, რომ პირს შეეძლო დანაშაულის ჩადენა.

ამდენად ვარაუდი დასაბუთებულია, თუ არსებობს ობიექტური ბმა დანაშაულსა და დაკავებულ პირს შორის, ობიექტური გარემოებები, მონაცემები, რომელიც შექმნის იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ჩადენილია დანაშაული და ეს დანაშაული ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელსაც აკავებენ. „გქონდეს საფუძვლიანი ეჭვი“ ნიშნავს იმგვარი ფაქტებისა და ინფორმაციის არსებობას, რაც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, თუმცა რა შეიძლება ჩაითვალოს „საფუძვლიანად“, დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე. იმავდროულად ეჭვის საფუძვლიანობის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს მისი სანდოობა.

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, უზრუნველყოფს პირისათვის თავისუფლების შეზღუდვის დასაშვებობას და გამორიცხავს თვითნებობას.<sup>12</sup>

საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის თანხმად, პირის დაკავებისათვის აუცილებელია შემდეგი გარემოებებიდან ერთ ერთის არსებობა:

1. პირი მიმალვას ან არ გამოცხადდება სასამართლოში;
2. განადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას;
3. ჩაიდენს ახალ დანაშაულს;

---

<sup>12</sup> Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, 2003, 174.

მიმალვა გულისხმობს მომავალ საფრთხეს, რომ პირი თავს აარიდებს გამოძიებას და სასამართლოს. მიმალვა თავისთავში ასევე მოიცავს საფრთხეს, რომ პირი განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას, ჩაიდენს დანაშაულს, თუნდაც იმისათვის, რომ ხელში არ ჩაუვარდეს საგამოძიებო ორგანოს, გაანადგურებს მტკიცებულებებს თუ მიეცემა ამის საშუალება.<sup>13</sup>

პირი მიმალვა ან არ გამოცხადდება სასამართლოს წინაშე არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ჩადენილი დანაშაულისათვის დაწესებულ სასჯელის სიმკაცრეს.<sup>14</sup> როდესაც არსებობს გარანტიები, რომ პირი წარსდგება სასამართლოს წინაშე იგი უნდა განთავისუფლდეს, სათანადო პირობების წაყენებით. გათავისუფლების შემთხვევაში პირი დაემალება თუ არა გამოძიებას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები:

- ბრალდებულის პიროვნება და ხასიათი;
- ბრალდებულის ქონება;
- ბრალდებულის ოჯახური კავშირები;
- ბრალდებულის კავშირები საზღვარგარეთ;
- სავარაუდო სასჯელის სიმძიმე;
- ბრალდებულის დაკავების კონკრეტული გარემოებები;
- ქვეყანასთან არსებული კავშირები;

სასამართლოები გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დარწმუნდნენ, რომ ამ გარემოებებიდან რამდენიმე მაინც არსებობს. მაგალითად, საქმეში „ამბრუჟკევიჩი პოლონეთის წინააღმდეგ“ (2006), სასამართლომ გასცა პირის დაპატიმრების ბრძანება იმ საფუძველით, რომ არსებობდა მისი მიმალვის საფრთხე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის მხრივ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის

<sup>13</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება π2/1/415,06.04.2009.

<sup>14</sup> მაგალითად, აშშ-ის ზოგიერთი შტატი ითვალისწინებს დანაშაულის სიმძიმეს როგორც დაპატიმრების გამოყენების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საფუძველს. აღნიშნული უკავშირდება ბრალდებულის მიმალვის პრეზუმფციას ან წარმოადგენს სავალდებულო დაპატიმრების საფუძველს იმ შტატებში, სადაც დაუშვებელია ბრალდების სიმძიმის გამო გირაოთი გათავისუფლება.



დარღვევა, რადგან საქმეში არ მოიძებნებოდა მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა პირის მიმალვის საფრთხეს.<sup>15</sup>

მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის საფრთხე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პოტენციურად ყველაზე ფართო გამოყების მქონე საფუძველია. საფრთხე, რომ პირი ჩაერევა მართლმსაჯულების განხორციელებაში - ვემპოფის საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ უნდა არსებობდეს კარგად დასაბუთებული რისკი, რომ პირი ჩაერევა მართლმსაჯულების განხორციელებაში. ასეთი საფრთხე შეიძლება იყოს:

- მოწმეებზე ზემოქმედება;
- სხვა ექვმიტანილების განადგურება;
- მტკიცებულებების განადგურება;

საფრთხე არ შეიძლება არსებობდეს ზოგადი; უნდა არსებობდეს ამ საფრთხის არსებობის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებები. მაგალითად როდესაც საქმე ეხება რთული საქმის გამოძიებას, იქ შეიძლება არსებობდეს მტკიცებულებების განადგურების მაღალი ალბათობა, ვიდრე ეს იქნებოდა ნაკლები სირთულის საქმეებში. გარდა ამისა, როდესაც გამოძიება მიმდინარეობს, გარკვეული პერიოდის მანძილზე, მოწმეებზე ზემოქმედების მოხდენისა და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე მცირდება.

საქმე „კონტრადა იტალიის წინააღმდეგ“ (1998), განმცხადებელი იყო პოლიციის ოფიცერი, რომელსაც ბრალი ედებოდა მაფიის მხარდაჭერასა და დახმარებაში. განმცხადებლის წინააღმდეგ საქმე აღიძრა მაფიის ყოფილი წევრების ჩვენებების საფუძველზე, რომლებიც აცხადებდნენ, რომ იგი ეხმარებოდა მაფიას თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით. სახელმწიფოს ჭირდებოდა ამ ჩვენებების გადამოწმება სხვადასხვა მოწმესთან. სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა განმცხადებლის მხრიდან მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე, ვინაიდან მის

---

<sup>15</sup> თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (მე-5 მუხლი). 2009.83.

მიმართ აღძრული საქმე მთლიანად ემყარებოდა მოწმეთა ჩვენებებს და ამ მოწმეთა ნაწილი იყო განმცხადებლის კოლეგა ან მეგობარი.<sup>16</sup>

თავის მხრივ, ცალკეულ შემთხვევებში დაკავების გამოყენების საფუძველად სასამართლო მიიჩნევს ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას. თავის მხრივ ეს საფუძველი მოიცავს, როგორც რეციდივის, ისე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის მიზნით, ისეთი დანაშაულების ჩადენას, როგორებიცაა, მტკიცებულებათა განადგურება, მოწმეებზე ზემოქმედება და ა.შ.

აღნიშნული საფუძველით დაკავების გამოყენებისას, სასამართლომ წარმოდგენილი მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა განსაზღვროს, რა ქმნის ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის ჩადენის საფრთხის არსებობის დასაბუთებულ ვარაუდის საფუძველს და კონკრეტულად , რომელი დანაშაულის თავიდან აცილების საფუძველზე გასცემს დაკავების განჩინებას.

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე მსჯელობისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის პიროვნება და წარსული ნასამართელობა და მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა ხასიითი, სიხშირე და სიმძიმე. პირის მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისაკენ მნიშვნელოვანი, მაგრამ არასაკმარისი საფუძველია თავისუფლების შეზღუდვისათვის, განსაკუთრებით მაშინ თუ ჩადენილი დანაშაულები ერთმანეთისაგან ხასიათითა და სიმძიმით განსხვავდება.<sup>17</sup>

ამასთანვე საქართველო სსკ-171-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, როდესაც პირის დაკავება შესაძლებელია სასამართლო განჩინების გარეშე. კერძოდ:

- პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;
- პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით;

<sup>16</sup> საქმე „კონტრადა იტალიის წინააღმდეგ“ (1998);

<sup>17</sup> თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (მე-5 მუხლი). 2009.89.

- პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
- პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიციწო;
- პირი შესაძლოა მიიმალოს;
- პირი ძებნილია;

აღნიშნული მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, კანონმდებელი მიმალვის საფრთხეს ანჭებს ორმაგ ხარისხს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ვინაიდან მიმალვის საფრთხე მოხსენიებულია, როგორც დაკავების იმ საფუძვლებს შორის რომელსაც სჭირდება სასამართლო განჩინება, ასევე იმ საფუძვლებს შორის, რომელსაც არ სჭირდება სასამართლოს განჩინება. აღნიშნული, თავის მხრივ, როგორც პრაქტიკულ ასევე თეორიულ გაუგებრობას იწვევს. იბადება კითხვა, თუ რით არის განპირობებული მიმალვის საფრთხის განსაკუთრებულობა სხვა იმ დაკავების საფუძვლებთან მიმართებით, როგორცაა საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურება ან ახალი დანაშაულის ჩადენა.

მიმალვის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თანაბარ მნიშვნელოვანია. თითოეულ მათგანს დამოუკიდებლად შეუძლია ზეგავლება მოახდინოს სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობაზე იმ დოზით, რომ შეუძლებელი გახდეს მართლმსაჯულების განხორციელება ან საქმეზე საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება. მაგალითად: საგამოძიებო ორგანოსათვის, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ პირი მისი სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, უახლოეს საათებში, აპირებდა ზემოქმედების მოხდენას საქმის მთავარ მოწმეზე, რომელიც მის მიმართ მამხილებელ ჩვენებას აძლევდა გამოძიებას. აღნიშნული საფრთხის აღსაკვეთად საგამოძიებო ორგანო ვერ უზრუნველყოფს პირის დაკავებას საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების კონკრეტული საფრთხის არსებობის მიუხედავად, დროის უმოკლეს მონაკვეთში, ვინაიდან აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა სასამართლოს

განჩინება, რომლის მოპოვებას ყველაზე კარგ შემთხვევაში რამდენიმე საათი სჭირდება. რამდენიმე საათიანმა ლოდინმა კი შესაძლებელია ხელი შეუწყოს პირის დანაშაულებრივი მიზნების განხორციელებას, ახალი დანაშაულის ჩადენის თუ მოწმეზე ზემოქმედების სახით. თავის მხრივ, აღნიშნულის განხორციელების შემდგომ გამოტანილი დაკავების განჩინება კარგავს ყოველგვარ აზრს, ვინაიდან ამ დროისათვის საფრთხე კონკრეტულ შედეგში იქნება რეალიზებული.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საგამომიებო ორგანოს ჰქონდეს პირის დაკავების უფლება, სასამართლო განჩინების გარეშე, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, კონკრეტული ფაქტები, იმისა, რომ შესაძლოა განხორციელდეს საქმეზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურება ან ახალი დანაშაულის ჩადენა. აღნიშნული შეხედულება ასახული იყო 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. კერძოდ სსსკ-ის 141-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დაკავება გამოიყენებოდა პირის დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის, გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თვიდან ასაცილებლად. აღნიშნული საფუძვლებიდან, ერთ-ერთის არსებობა საგამომიებო ორგანოს რთავდა უფლებას, სასამართლო განჩინების გარეშე, მოეხდინა პირის დაკავება.

## 1.2. დაკავების უფლება და იმუნიტეტი დაკავებისას

საქართველოს სსსკ-ის 172 მუხლის თანახმად დაკავების უფლება აქვს გამომიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, აწარმოებს გამომიებას ან ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

ამავე კოდექსის 34 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გამომიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილნი არიან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციისა და საქართველოს ფინანსთა

სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფებს. შესაბამისად სსსკ-ის 172-ე მუხლით, გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოებში იგულისხმება ზემოთ ჩამოთვლილი სამინისტროთა საგამოძიებო დანაყოფები.

ცხადია საგამოძიებო დანაყოფთა შორის, მისი მოცულობის, საგამოძიებო ქვემდებარეობის გათვალისწინებით დიდი როლი უკავია შინაგან საქმეთა სამინისტროს. აღნიშნული ფაქტობრივად გაზიარებული იყო 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, რომლის 143-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დაკავების უფლებამოსილება აქვს პოლიციის თანამშრომელს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის, სასჯელაღსრულების და პრობაციისა და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ თანამშრომელს.

მოქმედი საპროცესო კოდექსი დაკავების უფლებას აგრეთვე ანიჭებს პროკურორს, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებით წინა საპროცესო კოდექსისაგან მუხლი არ უთითებს სიტყვა პროკურორს. ვინაიდან სსსკ-ის 172 მუხლის თანახმად დაკავების უფლება აქვს იმ ორგანოს თანამშრომელს, რომელიც ახორციელებს სისხლისამართლებრივ დევნას.

სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოში მოიაზრება მხოლოდ პროკურატურა, რაც გამომდინარეობს, სსსკ-ის 32-ე მუხლიდან, რომლის თანახმად პროკურატურა სისხლისამართლებრივი დევნის ორგანოა. შესაბამისად, პროკურორი განეკუთვნება იმ პირთა კატეგორიას, რომელიც აღჭურვილია დაკავების უფლებით.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა დაკავების უფლებას არ ანიჭებს რიგით მოქალაქეს, განსხვავებით წინა საპროცესო კოდექსისაგან, რომლის 143-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, დაკავების უფლებამოსილების განხორციელება შეეძლო, ნებისმიერ ფიზიკურ პირს, მხოლოდ მაშინ, თუ იგი პირს წაასწრებდა დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე.

მოქმედი და წინა საპროცესო კანონმდებლობით, დაკავება ტერმინოლოგიურ-ცნებითი თვალსაზრისით, არ იყოფა ფაქტობრივ და საპროცესო (იურიდიულ) დაკავებად.

ფაქტობრივად დაკავებული ანუ შეპყრობილი პირი (ეს ტერმინი, თუ მას ჩვენი კანონი მიიღებს, ჩვენი აზრით საშუალებას მოგვცემს, ტერმინოლოგიურად, მსაზღვრელი სიტყვის გარეშე, განვასხვავოთ ფაქტობრივად დაკავებული პირი იურიდიულად ანუ საპროცესო გაფორმებით დაკავებულისაგან ამ უკანასკნელს აღნიშნავს სიტყვა დაკავებული)-იმისდა მიუხედავად, ოფიციალური ორგანოს წარმომადგენელმა შეიპყრო იგი თუ მოქალაქემ, იურიდიულად დაკავებულად ითვლება მხოლოდ დაკავების ოქმის შედგენის შემდეგ.<sup>18</sup>

საქართველოს სსსკ-ის 173 მუხლის თანახმად არ შეიძლება დაკავებულ იქნენ: დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, გენერალური აუდიტორი, საქართველოს სახალხო დამცველი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და მოსამართლე.

აღნიშნულ თანამდებობის პირთა, თუ დიპლომატიური სტატუსის პირთა დაკავების აკრძალვა განპირობებულია, სსსკ-ის 167 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, რომლის თანახმად თუ საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანხმობა არ მისცეს საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, გენერალური აუდიტორის, მოსამართლის იმ ვადით სისხლის სამართლის პაუსხისგებაში მიცემაზე, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი, მათ მიმართ დაუშვებელია დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, მიუხედავად დაკავების საფუძვლების არსებობისა, დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს უფლება არ აქვს დააკავოს ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობის პირები, მათი სამსახურეობრივი კუთვნილების მიხედვით, საქართველოს პარლამენტის, საკონსტიტუციო სასამართლოს ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვის გარეშე.<sup>19</sup>

<sup>18</sup> იური გაბისონია. დაკავების დაპატიმრებად ტრანსფორმირების პრობლემატიკა, სამართალგამოყენებითი პრაქტიკისა და ახალი კოდექსის პროექტის მიხედვით. ქართული სისხლის სამართლის მიმოხილვა 7/2004.

<sup>19</sup> ჯემალ ლომსაძე. სისხლის სამართლის პროცესი, მესამე გამოცემა, 2012 წელი, 183.

სსსკ-ის 173-ე მუხლში მოხსენიებული არ არის საქართველოს მთავრობის წევრი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, სხვა საჯარო მოხელეები, მათ შორის პროკურორი.

სსსკ-ის 173-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს, დაკავების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში შეუძლია დააკავოს ყველა ის პირი, რომელზეც არ ვრცელდება იმუნიტეტი სსსკ-ის 167-ე და 173-ე მუხლებით.

შესაბამისად, იბადება კითხვა, აქვს თუ არა დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს, საქართველოს მთავრობის წევრის, მინისტრის დაკავების უფლება?

პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს მთავრი პროკურორი კანონით დადგენილი წესით, ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას საქართველოს მთავრობის წევრის (აგრეთვე სხვა პირების) მიმართ.<sup>20</sup>

საქართველოს სსსკ-ის 167-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ). შესაბამისად დაკავების მომენტიდანვე ითვლება, რომ პირის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა და დაკავებული პირი იძენს ბრალდებულის სტატუსს.

საქართველოს მთავრობის წევრის, დაკავების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოხსენიებული არ არის სსსკ-ის 173-ე მუხლში, არ აქვს ყველა დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს, იგი მხოლოდ გენერალური პროკურორის კომპეტენციაა. აგრეთვე, მხოლოდ გენერალური პროკურორის კომპეტენციას წარმოადგენს დააკავოს და დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, სსსკ-ის 173 მუხლით განსაზღვრულ პირთა მიმართ, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დაკავება შეუძლია შესაბამისი ნებართვის საფუძველზე დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ ნებისმიერ პირს.<sup>21</sup>

<sup>20</sup> იხ. საქართველოს კანონი პროკურატურის შესახებ, მე-9 მუხლი.

<sup>21</sup> აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზად მიმაჩნია, ვინაიდან სსსკ-ის 173-ე მუხლით დაცულ პირებზე, მხოლოდ საქართველოს მთავარ პროკურორს უნდა ჰქონდეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლება.

პროკურატურის შესახებ კანონის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის, მოსამართლის, სახალხო დამცველის, გენარალური აუდიტორის და ა.შ. (ი.ხ. პროკურატურის შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი), მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებს მხოლოდ საქართველოს გენერალური პროკურორი. მთავარ პროკურორს აღნიშნულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლება აქვს მას შემდეგ რაც შესაბამისად საქართველოს პარლამენტი, საკონსტიტუციო სასამართლო ან უზენაესი სასამართლოს თავამჯდომარე გასცემს ნებართვას პირის მიმართ დაკავების თაობაზე. ე.ი. სსკ-ის 173-ე მუხლი, შეზღუდვას აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ პირთა მიმართ, სპეციალური ნებართვის გარეშე, დაკავების შეზღუდვას უწესებს საქართველოს მთავარ პროკურორს, ვინაიდან მხოლოდ გენერალური პროკურორია უფლებამოსილი დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა სსსკ-ის 173 მუხლით განსაზღვრულ პირთა მიმართ.

დაკავების წესი.

საქართველოს სსსკ-ის 174 მუხლის თანახმად დაკავების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს, განუმარტოს, რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული, და აცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება არ დაიბრალოს დანაშაული, და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად ნებისმიერ დაკავებულ პირს, დაკავების დროს, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წარდგენილი ბრალდება.<sup>22</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად - ყველა დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წარდგენილი ნებისმიერი ბრალდება.<sup>23</sup>

---

<sup>22</sup> საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ,(მე-9 მუხლი).



დაკავების მიზეზების შესახებ პირის სწრაფად ინფორმირების ვალდებულება, ვრცელდება არა მარტო სისხლისსამართალწარმოებასთან დაკავშირებულ, კონვეციის არამედ მე-5 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაზე. სიტყვა დაკავებას ამ შემთხვევაში აქვს ავტონომიური მნიშვნელობა და „ვრცელდება სისხლის სამართლის ზომების მოქმედების მიღმა” (იხ. კერძოდ, „ვან დერ ლეერი ნიდერლანდების წინააღმდეგ” (1990), მარაგრაფი 27), და უკავშირდება მომენტს, რომ პირი აღარ არის თავისუფალი. ადამიანის უფლებათა კონვეციის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის წარმოადგენს მხოლოდ პირველად პროცედურულ გარანტიას, რომ ნებისმიერ დაკავებულ პირს, რაც შეიძლება დროულად შეეძლოს დაკავების კანონიერების გასაჩივრება.

საქმეში „ვან დერ ლეერი - ნიდერლანდების წინააღმდეგ”, თავდაპირველად განმცხადებელი იყო ფსიქიატრიული სავადმყოფოს ნებაყოფლობითი პაციენტი. მოგვიანებით, იგი დააკავეს იძულებით, თუმცა ამის შესახებ მისთვის არავის უცხოვებია. მისი იძულებითი დაკავების შესახებ განმცხადებელმა გაიგო მხოლოდ ბრძანების გამოტანიდან მე-10 დღეს, როდესაც მოათავსეს განმარტოებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ სიტყვა „დაკავება” განმარტებულ უნდა იქნეს ავტონომიური მნიშვნელობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, მიიჩნია, რომ განმცხადებელს ფქონდა უფლება ყოფილიყო ინფორმირებული მისი იძულებითი დაკავების მიზეზების შესახებ.<sup>24</sup>

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, დაკავების შეტყობინება უნდა განხორციელდეს გასაგები ფორმით.

გასაგები ფორმა არ ნიშნავს მხოლოდ გასაგებ „ენას“, არამედ იმას, რომ ინფორმაცია მიწოდებულ უნდა იყოს ისეთი ნიშნობრივი ფორმით, რომ დაკავებული პირი ახორციელებდეს მის აღქმას.<sup>25</sup>

---

<sup>23</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეცია, (მე-5 მუხლი).

<sup>24</sup> იხ. „ვანდერლეერი ნიდერლანდების წინააღმდეგ” (1990).

<sup>25</sup> თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (მე-5 მუხლი). 2009.90.

ინფორმაცია, რომელიც დაკავებულ პირს უნდა მიეწოდოს, მოიცავს „მისი დაკავების მიზეზებს და მისთვის წარდგენილ ნებისმიერ ბრალდებას“. ის შეიძლება შევადაროთ ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (ა) პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, „რომ ყველას ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი“. თუმცა ეს ორი გარანტია არ არის იდენტური. სხვაობა მდგომარეობს იმ განსხვავებულ მიზნებში, რომლებსაც ისინი ემსახურება და იმ გარემოებაში, რომ ეს გარანტიები წარმოიქმნება სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე. კერძოდ, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლში მოცემულმა ინფორმაციის ვალდებულებამ დაკავებულ პირს უნდა მისცეს მე-4 პუნქტით განსაზღვრული პროცედურის ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობა. მე-6 მუხლის მე-3 (ა) პუნქტში მოცემული გარანტია კი არსებობს იმისთვის, რომ მას საშუალება ჰქონდეს ეფექტიანი დაცვა მოამზადოს სასამართლო განხილვისათვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი შეიცავს მინიმუმ გარანტიებს, რომ ნებისმიერმა დაკავებულმა პირმა უნდა იცოდეს მისი დაკავების მიზეზების შესახებ. აღნიშნული დათქმის თანხმად, ნებისმიერ დაკავებულ პირს უნდა განემარტოს მარტივ, არა ტექნიკურ ენაზე, რომლის გაგებაც მას შეუძლია, მისი დაკავების არსებითი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

დაკავებისთანავე დაკავებულ პირს უნდა ეცნობოს, რომ მას უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თვის შეკავების უფლება, უფლება არ დაიბრალოს დანაშაული, და რომ ყველაფერი რასაც იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონმდებლობაში ცალსახად არ არის დათქმა აღნიშნულ უფლებათა დაუყოვნებლივ განმარტებაზე, იგულისხმება, რომ აღნიშნული უფლებების განმარტება უნდ მოხდეს დაკავებისთანავე, ვინაიდან საპროცესო კოდექსის თანახმად დაუშვებელი მტკიცებულებაა ის განცხადება, რომელიც დაკავებულმა ამ ნაწილით გათვალისწინებული განმარტების

მიღებამდე გააკეთა. აღნიშნულ განმარტება საპროცესო კანონმდებლობასა თუ თეორიაში ცნობილია „მირანდას“ გაფრთხილების სახელით და გულისხმობს შემდეგს: 1964 წელს, აშშ უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ექვმიტანილს უფლება აქვს ადვოკატი ჰყავდეს პოლიციაში დაკითხვისას. 1966 წელს კი უმაღლესმა სასამართლომ მოახდინა ექვმიტანილის დასაცავი საჭირო გაფრთხილებების ფორმულირება და მოითხოვა, რომ ეს გაფრთხილება მისცემოდა ყველა პიროვნებას, რომელიც „დაკავებული ან სხვაგვარად შეზღუდული იყო თავისუფალ მოქმედებაში“\_. ნებისმიერი დაკითხვისას, დამკითხავმა, ექვმიტანილი უნდა გააფრთხილოს:

1. თქვენ გაქვთ დუმილის შენარჩუნებისა და კითხვებზე პასუხის გაცემაზე უარის თქმის უფლება.
2. ყოველივე, რასაც თქვენ იტყვით შეიძლება გამოყენებული იქნას თქვენს წინააღმდეგ სასამართლოში.
3. თქვენ გაქვთ უფლება შეხვდეთ ადვოკატს, ვიდრე იტყოდეთ რამეს და დაასწროთ იგი ყველა დაკითხვას ახლაც და მომავალშიც.
4. თუ თქვენ არ გაქვთ ადვოკატის აყვანის საშუალება, თქვენი სურვილით იგი შეიძლება დაგენიშნოს სახელმწიფოს ხარჯზე.
5. თუკი ახლა გადაწყვეტთ, უპასუხოთ კითხვებს დამცველის გარეშე, თქვენ მაინც ინარჩუნებთ უფლებას მომავალში უარი თქვათ თქვენს მიერ გაცემულ პასუხებზე.
6. თუ თქვენ არ გესმით სახელმწიფო ენა, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ უფასო თარჯიმანი.

ბრალდებულებმა შეიძლება უარი თქვან, ან თავი შეიკავონ ამ უფლებების გამოყენებაზე, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იციან ამ უფლებების შესახებ გააზრებულად. იმ შემთხვევაში, თუ პოლიციამ ან დამკითხავმა ექვმიტანილს არ მისცა სათანადო გაფრთხილება მისი უფლებების შესახებ, პროკურატურას არა აქვს უფლება, ასეთი ჩვენება გამოიყენოს ბრალდებულის წინააღმდეგ.

ამ გაფრთხილებას „მირანდას“ გართხილება დაერქვა. გარემოება, რომელმაც მას სახელი მისცა, ეხებოდა 23 წლის სატვირთო მანქანის მძღოლს, ვინმე ერნესტო მირანდას, რომელიც დაკავებული იყო გატაცებისა და გაუპატიურების ბრალდებით. 1963 წელს მისი ორსაათიანი დაკითხვის შემდეგ, ერნესტო მირანდამ აღიარა დანაშაული. ამ შემთხვევამდე, პოლიციაში მიღებული ყველა ჩვენება ითვლებოდა ნებაყოფლობითად და გამოიყენებოდა სასამართლოში. პოლიციაში იგი არ გაუფრთხილებიათ მისი უფლებების შესახებ. ერნესტო მირანდა სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა 20-დან 30-წლამდე პატიმრობა. მაგრამ მოგვიანებით, მისმა ადვოკატებმა მოითხოვეს აპელაცია, გააპროტესტეს განაჩენი იმის გამო, რომ კონსტიტუციის მეხუთე დამატება, რომელიც იცავდა ექვმიტანილს დანაშაულის თვითაღიარებისაგან, გაერთიანებული იყო მეექვსე შესწორებასთან, რომელიც უზრუნველყოფდა მას ადვოკატით. 1966 წელს უზენაესმა სასამართლომ ერნესტო მირანდას დაუნიშნა ახალი მოსმენა და მოსამართლე ერლ უორენმა ეს შესწორება პირველმა გამოიყენა, რაც ცნობილი გახდა, როგორც „მირანდას უფლებები“ სასამართლომ შეცვალა განაჩენი, უორენმა დაწერა სასამართლოს უმრავლესობის აზრი, რომ ერნესტო მირანდას ჩვენებები არ იყო „ნებაყოფლობითი“ დამრთგუნველი გარემოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა პოლიციაში დაკითხვისას, ქმნიდა დანაშაულის აღიარების პირობას, აქედან გამომდინარე უორენმა დაასკვნა, რომ: „თუ არ შეიქმნება ექვმიტანილის ადეკვატური დამცავი პირობები, არც ერთი აღიარება არ შეიძლება ჩაითვალოს თავისუფალი ნების პროდუქტად“. ამის შემდეგ, სასამართლომ მოახდინა „მირანდას“ გაფრთხილების ფორმულირება, რაც ზემოთ იყო განხილული.

თუ „მირანდას“ გაფრთხილების შემდეგ დასაკითხი გამოიყენებს მინიჭებულ უფლებას (დუმილის უფლება, დამცველის უფლება), ეს უკვე კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ დაკითხვა უმაღვე უნდა შეწყდეს.

როდესაც დასაკითხი დუმილის უფლებას იყენებს, დაკითხვის ხელახლა გაგრძელება დასაშვებად ითვლება თუ: 1. დროის გარკვეულმა პერიოდმა განვლო (გააზრების, მოფიქრების) ან 2. დაკითხვის განახლება ხდება ექვმიტანილის ინიციატივით.

ამ ორივე შემთხვევაში დასაკითხს კვლავ უნდა წარუდგინონ „მირანდას“ გაფრთხილება და ჰკითხონ აცხადებს თუ არა მასზე უარს. მაგრამ, როდესაც დასაკითხი უბრალოდ დროს კი არა დამცველის დახმარებას ითხოვს, ეს მოთხოვნა აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს და დაკითხვა უნდა გადაიდოს მანამ, სანამ დასაკითხი დამცველისაგან არ მიიღებს კონსულტაციას, ან არ დაასწრებს მას დაკითხვაზე. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა იმას, ადრე ჰქონდა თუ არა კონსულტაციები დამცველთან. ეს ეხება როგორც დაკავებულს ასევე ბრალდებულს, რომლის მიმართაც სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია ბრალდების დადგენილების გამოტანით.

აქედან გამომდინარე, სამართალდამცავები არაუფლებამოსილნი არიან დაკითხონ დაკავებული, დაპატიმრებული, ბრალდებული პირი, რომელმაც დამცველი მოითხოვა მანამდე, სანამ ბრალდებულის დამცველი არ გამოცხადდება ან ბრალდებული აზრს არ შეიცვლის და თავისი ინიციატივით გააგრძელებს დაკითხვას. იმის გამო, რომ პირველი ალტერნატივა უსიამოვნოა, ხოლო მეორე უმეტესად არარეალური, ბრალდებულის დაკითხვის სწრაფად განახლება იშვიათად ხდება. საპროცესო კანონმდებლობის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს, რომ დაკავების შემდგომ დამცავებელმა მოხელემ დაკავებული დაუყოვნებლივ მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში.<sup>26</sup>

დაკავებულის პოლიციის ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანა ემსახურება შემდეგ მიზანს:

1. დაკავებულ პირს მიეცეს შესაძლებლობა განახორციელოს და ისარგებლოს დაკავების დროს განმარტებული უფლებებით;
2. შეუფერხებლად განხორციელდეს პირის დაკავების შემდგომ ჩასატარებელი საგამომიებო მოქმედებები;
3. დაფიქსირდეს დაკავებულის პოლიციის განყოფილებაში მიყვანის დრო;

---

<sup>26</sup> გია დეკანოზიშვილი - დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლის სამართალწარმოებასა და კრიმინალისტიკაში ( დისერტაცია).

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად დაკავებულის მიყვანა უნდა განხორციელდეს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში, მიუხედავად იმისა, დამკავებელი პირი სტრუქტურულად, ქვემდებარეობით თუ უფლებამოსილებით ითვლება უახლოესი პოლიციის განყოფილებისა თუ სამმართველო ორგანოს თანამშრომლად. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც არ ხდება დაკავებული პირის უახლოეს სამმართველო ორგანოში მიყვანა, რაც თავის მხრივ ასევე უყურადღებოდ რჩება სასამართლოს მიერ, ბრალდებულის პირველი წარდგენისა თუ საქმის განხილვის შემდგომ ეტაპებზე. მაგალითად, 2015 წლის 13 თებერვალს ისანი-სამგრის სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილების თანამშრომლები, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ვაჟა-ფშაველას გამზირზე აკავენ პირს, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა შენახვის ბრალდებით. ბრალდებულის დაკავების, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ნივთმტკიცებათა ამოღების შემდგომ, პოლიციის თანამშრომლებს დაკავებული პირი გადაყავთ არა ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს უახლოეს დაწესებულებაში, არამედ ისანი-სამგორის სამმართველოს შესაბამის განყოფილებაში.

ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, ბრალდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა სასამართლოს მოსთხოვა ყურადღების გამახვილება იმ გარემოებაზე, რომ დაირღვა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნა, დაკავებული პირი არ იქნა მიყვანილი პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში და ითხოვა ბრალდებულის დაკავებიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლება. სასამართლოს განმარტებით აღნიშნულ შემთხვევაში მართალია დაირღვა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნა, მაგრამ იგი არ შეიძლება შეფასდეს, როგორც არსებითი დარღვევა, რომელიც საფუძველი გახდება დაკავებულის დაკავებიდან განთავისუფლების. ვინაიდან დაკავებული პოლიციის განყოფილებაში მიყვანილი იქნა დაკავებიდან უმოკლეს ხანში. ე.ი. სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ შემთხვევებში აქცენტს აკეთებს დროის ფაქტორზე, შესაბამისად დაკავებიდან უმოკლეს დროში დაკავებულის მიყვანა დამკავებელი მოხელის საგამოძიებო და უწყებრივი ქვემდებარეობით შესაბამის განყოფილებაში, სხვა პოლიციის განყოფილებებზე გვერდის

ავლით არ შეიძლება შეფასდეს კანონის არსებით დარღვევად და იგი ვერ გახდება საფუძველი პირის დაკავებიდან განთავისუფლების.

დაკავებული პირი დაკავების შემდგომ, მას შემდეგ რაც მიიყვანენ დაკავების ადგილას, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დადგენის მიზნით, მისი მოთხოვნის შემთხვევაში უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ და უნდა შედგეს სათანადო ცნობა. დაკავების ადგილად ითვლება ადგილი სადაც უნდა მოხდეს პირის შესახლება, მაქსიმუმ 72 საათის განმავლობაში, ანუ დროებითი მოთავსების იზოლატორი.

პირი დაკავებული შეიძლება იყო 72 საათის განმავლობაში. აღნიშნულის შემდგომ მისი თავისუფლების აღკვეთისათვის საჭიროა, აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნეს პატიმრობა ან დაკავების სახით გამოყენებული იძულებითი ღონისძიების საფუძველზე გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად დაკავებულ პირს, დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათში უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება, თუ ამ ვადაში დაკავებულს არ გადაეცემა დადგენილება, იგი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. გარდა დადგენილების გადაუცემლობისა, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს დაკავებიდან, თუ პროკურორი საპროცესო კანონმდებლობის 196 მუხლის შესაბამისად, პირის დაკავებიდან 48 საათში არ მიმართავ სასამართლოს შუამდგომლობით, ბრალდებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

სსსკ-ის 175 მუხლის თანახმად დამკავებელმა მოხელემ დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს დაკავების ოქმი. დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი არ არის ვალდებული მუდამ თან ჰქონდეს დაკავების ოქმი, მითუმეტეს არასამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას. აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულია საპროცესო კანონმდებლობაში, რომლის მიხედვით თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე ობიექტური მიზეზით (მაგ. ოქმის თან არ არსებობის გამო) შეუძლებელია, იგი უნდა შედგეს დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე.

დაკავების ოქმში უნდა აღინიშნოს: ვინ, სად, როდის, რა ვითარებაში, ამ კოდექსში მითითებულ რომელ საფუძველზეა დაკავებული, დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა დაკავების მომენტში, რომელი დანაშაულის ჩადენაშია იგი ბრალდებული, მისი პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანის ზუსტი დრო, ამ კოდექსით გათვალისწინებული ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხა, აგრეთვე შესაბამის შემთხვევაში ის ობიექტური მიზეზი (მიზეზები), რომლის (რომელთა) არსებობის გამოც შეუძლებელი იყო დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე.

დაკავების ოქმს ხელს აწერენ: თანამდებობის პირი, რომელმაც პირი დააკავა, დაკავებული და მისი ადვოკატი (მისი ყოფნის შემთხვევაში). ბრალდებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე ოქმს ხელს აწერს პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირი. დაკავებულს გადაეცემა დაკავების ოქმის ასლი. თუ დაკავებისას ჩატარდა პირის პირადი ჩხრეკა, ამ საგამოძიებო მოქმედების თაობაზე ცალკე ოქმი არ დგება.

თუ დაკავებისას პირს არ განემარტა ამ კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და არ გადაეცა დაკავების ოქმი ან თუ დაკავების ოქმი შედგენილია არსებითი დარღვევით, რომელიც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, თავისუფლებაშეზღუდული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. დაკავებულ პირს უფლება აქვს დაკავების ოქმთან დაკავშირებით გამოთქვას შენიშვნები, რომელსაც დაკავებული პირი დამოუკიდებლად ან ადვოკატთან ერთად დაადასტურებს ხელმოწერით. შესაძლებელია დაკავებულმა პირმა უარი განაცხადოს დაკავების ოქმის ხელმოწერასა და ჩაბარებაზე. აღნიშნულ შემთხვევაში სავალდებულოა, ოქმზე აღინიშნოს შესაბამისი მიზეზი, თუ რატომ აცხადებს უარს დაკავებული დაკავების ოქმის ხელმოწერასა თუ დაკავების ოქმის ჩაბარებაზე. გარდა ოქმზე სპეციალური შენიშვნის აღნიშვნისა, მიზანშეწონილია, დაკავებული პირი ბრალდებულის სახით დაკითხვისას, დაკითხულ იქნეს იმ გარემოების ირგვლივ, თუ რა მიზეზით არ მოაწერა დაკავებულმა პირმა დაკავების ოქმს ხელი ან რატომ განაცხადა უარი მის ჩაბარებაზე.



დაკავებიდან განთავისუფლების წესი.

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საპროცესო იძულებითი ღონისძიება დაკავების სახით, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას გამოიყენება მაშინ, როცა არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული. თავის მხრივ, დანაშაულის ჩადენის თობაზე დასაბუთებული ვარაუდის ან დაკავების საფუძვლისა არ არსებობის შემთხვევაში პირი დაუყივნებლივ უნდა განთავისუფლდეს დაკავებიდან.

საქართველოს სსსკ-ის 176-ე მუხლი განსაზღვრავს დაკავებულის განთავისუფლების საფუძვლებსა და წესს. აღნიშნული მუხლის თანახმად დაკავებული უნდა განთავისუფლდეს თუ:

1. არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული - მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა, განსხვავებით წინა საპროცესო კანონმდებლობისაგან, არ იცნობს ტერმინ ეჭვს, ეჭვის არ დადასტურებას მიიჩნევს დაკავებიდან განთავისუფლების საფუძვლად. ამ საფუძვლის გამოყენებამდე, საგამომიებო ორგანოს თანამშრომლისათვის ცნობილი უნდა იყოს ტერმინ ეჭვის განმარტება, რომელსაც არ ახდენს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა. დანაშაულის ჩადენის ეჭვში უნდა ვიგულისხმოთ ფაქტების, მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ დანაშაული სწორედ ამ პირის მიერაა ჩადენილი. შეაბამისად საკმარისი ფაქტების, მტკიცებულებების არ არსებობა ნიშნავს, რომ არ დასტურდება ეჭვი დაკავებულის მიერ დანაშაულის ჩადენისა. მაგალითად: ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობისას, პირადი ჩხრეკის შედეგად, პირისაგან ამოღებულ იქნა მომწვანო შეფერილობის, დაქუცმაცებული მცენარეული მასა, სავარაუდოდ ნარკოტიკული საშუალება და პირი დაკავებულ იქნა პირადი ჩხრეკის დასრულების თანავე, ვინაიდან არსებობდა სსსკ-ის 171 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაკავების საფუძველი, კერძოდ „მასთან აღმოჩდა დანაშაულის ჩადენის აშკარა კვალი“. პირადი ჩხრეკის შედეგად

ამოღებულ მცენარეულ მასაზე დანიშნული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დადგინდა, რომ ამოღებული მომწვანო შეფერილობის მცენარეული მასა არ განეკუთვნებოდა ნარკოტიკულ საშუალებას. ანუ არ დასტურდა ეჭვი, რომ დაკავებულის მიერ დანაშაულის ჩადენისა, ვინაიდან მცენარეული მასა არ განეკუთვნებოდა ნარკოტიკულ საშუალებას, შესაბამისად დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს დაკავებიდა მის მიერ დანაშაულის ჩადენაში ეჭვის დაუდასტურებლობის საფუძველით.

2. არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ. სსსკ-ის 196 მუხლის თანახმად პირის დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათში პროკურორმა უნდა მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე. თუ დაკავებულ პირს მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენებულ არ იქნა პატიმრობა ან გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით დაკავებული პირი დაკავებიდან დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.
3. გავიდა დაკავების ამ კოდექსით დადგენილი ვადა - დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, აღნიშნული ვადის გასვლისთანავე პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს დაკავებულთა ყოფნის ადგილის უფროსის დადგენილებით. ამასთანავე პირის დაკავებიდან განთავისუფლების საფუძველს წარმოადგის თუ მას დაკავებიდან 48 საათში არ გადაეცა ბრალდების შესახებ დადგენილება ან დაკავებიდან 48 საათში პროკურორმა არ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით დაკავებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე. აღნიშნული საფუძველების შემთხვევაში პირი თავისუფლდება პროკურორის დადგენილების საფუძველზე ან უკიდურეს შემთხვევაში მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რა დროსაც პირის მიმართ გამოყენებული საპროცესო იძულებით ღონისძიება მიჩნეულ იქნება უკანონოდ.

თუ პროკურორმა პირის დაკავებიდან 48 საათში მიმართა სასამართლოს აღკვეთი ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით, ეს ნებისმიერ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ პირი არ უნდა განთავისუფლდეს დაკავებიდან, ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში საჭიროა, რომ პროკურორი სასამართლოს წინაშე შუამდგომლობდეს პირის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის ან საპატიმრო გირაოს გამოყენების თაობაზე. სხვა აღკვეთი ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობის შემთხვევაში პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს დაკავებიდან, ვინაიდან მათ უზრუნველსაყოფად არ არის აუცილებელი პირის დაკავება,

4. არ იქნა მიღებული უფლებამოსილი სახელმწიფოს ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობა დაკავებაზე - სსსკ-ის 173 მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა ჩამონათვალს, რომელთა მიმართაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაკავება შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, თუ არ იქნა მიღებული თანხმობა პირის დაკავებასთან დაკავშირებით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირისაგან. მხოლოდ და მხოლოდ დაკავების ერთადერთი საფუძველი, გათვალისწინებული სსკ-ის 171 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, „პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე“, გარდა საქართველოს პრეზიდენტისა და დიპლომატიური იმუნიტეტით მოსარგებლე პირისა, წარმოადგენს საფუძველს, რომ პირი დაკავებულ იქნეს შესაბამისი ნებართვის გარეშე. თუმცა იმუნიტეტით მოსარგებლე პირის დაკავების შემთხვევაში, საჭიროა ეცნობოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირს, რათა მიღებულ იქნეს თანხმობა პირის დაკავებაზე. თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში კი დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

5. დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი - საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა გულისხმობს, რომ უპირველეს ყოვლისა დაირღვა დაკავების წესი, მაგალითად არ შეატყობინეს დაკავებულს დაკავების საფუძვლის შესახებ, არ განუმარტეს თუ რა დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული,

არ განუმარტეს უფლებები, არ გადაეცა დაკავების ოქმი და ა.შ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოება სსსკ-ის 175 მუხლის შესაბამისად მიჩნეულ იქნება არსებით დარღვევად, ხოლო გამოყენებული საპროცესო იძულებითი ღონისძიება უკანონოდ.

6. სისხლის სამართლის საპროცესო მიზნების მისაღწევად დაკავება აღარ არის აუცილებელი - აღნიშნული საფუძველი არსებობს მაშინ, როდესაც არ არსებობს საფრთხე იმისა, რომ დაკავებული პირი მიიძალგება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. შესაბამისად აღნიშნული გარემოებების არ არსებობის შემთხვევაში დაკავება რჩება მიზნის გარეშე, რაც პირის დაკავებიდან განთავისუფლების საფუძველს წარმოადგენს.

დაკავებული დაკავებიდან თავისუფლდება პროკურორის ან მოსამართლის გადაწყვეტილებით. საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირი დაკავებულია სასამართლოს განჩინების საფუძველზე, პროკურორს აქვს უფლება, თავისივე გადაწყვეტილებით გააუქმოს სასამართლოს განჩინების საფუძველზე გამოყენებული საპროცესო იძულებითი ღონისძიება. აღნიშნულ შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად „სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით“. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პროკურორს არა ექვს უფლება გააუქმოს სასამართლოს გადაწყვეტილება და პირი გაათავისუფლოს დაკავებიდან, თუ დაკავებას საფუძველად დაედო სასამართლოს განჩინება, მაშინაც კი, როცა პირის დაკავება არ არის საჭირო საპროცესო მიზნების მისაღწევად. ფაქტია, რომ საპროცესო კანონმდებლობა უსაფუძვლოდ ზრდის პროკურორის კომპეტენციას და ანიჭებს მას იმ უფლებამოსილებას, რომლის შესრულებაც მხოლოდ სასამართლოს შეუძლია.

აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია, რომ საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს ცვლილება, რომლის თანახმად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავებულის პირის დაკავებიდან განთავისუფლებისათვის პროკურორმა უნდა მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით დაკავების განჩინების გაუქმების თაობზე.

## თავი II. დაპატიმრების დასაბუთების სამართლებრივი საფუძველები

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა, ისევე როგორც წინა საპროცესო კოდექსი არ განმარტავს დაპატიმრების ცნებას. დაპატიმრება ლათინური სიტყვაა, „არესტუმ“ ნიშნავს სასამართლო დადგენილებას. რაც შეეხება დაპატიმრების ცნების სამართლებრივ განმარტებას, ასეთს ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს. მეტად მწირია, ამ მიმართულებით არსებული სამეცნიერო ლიტერატურაც.<sup>27</sup>

ცალკეული საერთაშორისო-სამმართველბრივი აქტების კომენტარებისას მართალია მითითებულია, რომ „დაპატიმრება“ ნიშნავს კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით, ჩადენილი დანაშაულთან დაკავშირებული პირის დაკავებას ეჭვის საფუძველზე, მაგრამ აღნიშნული ეხება მხოლოდ იმ პირს, რომელმაც თავისუფლება დაკარგა მსჯავრდების გამო. ე.ი. ამ შემთხვევაში საუბარია არა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ დაპატიმრებაზე, არამედ პატიმრობაზე, როგორც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პატიმრობის ცნების თაობაზე გამოყენებული განმარტება არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს დაპატიმრების ცნების შინაარსთან, თუმცა მათ შორის იმ მსგავსებასაც ვერ ავუვლით გვერდს, რომ ორივე მათგანი დაკავშირებულია სხვადასხვა სამართლებრივი სტატუსის მქონე პირების საზოგადოებისაგან მკაცრ იზოლაციისაან.

მოქმედი და წინა საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე შესაძლებელია დაპატიმრების, როგორც ყველაზე მკაცრი აღკვეთი ღონისძიების ცნების შემდეგი სახით ჩამოყალიბება: დაპატიმრება ყველაზე მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიებაა, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიყენება ბრალდებულის მიმართ, საზოგადოებისაგან მათი დროებით იზოლაციის მიზნით, საპროცესო კანონმდებლობის მიზნების უზრუნველსაყოფად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე.

<sup>27</sup> ვენედი ბენიუე - დაპატიმრებისა და შინა პატიმრობის აღკვეთი ღონისძიებად გამოყენების პრობლემარკა. 2001 წელი, გვ 33;

პირადი თავისუფლების უფლება ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი უფლებაა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მისი ხელყოფა მნიშვნელოვან ტანჯვასთან არის დაკავშირებული. მაგალითად რუსი მწერალი დ. დოსტოევსკი, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია ხანგძლივი დროის განმავლობაში პატიმრობაში ყოფნის სიმწარე, ყველაზე მტკივნეულად აღიქვამდა იმ გარემოებას, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე იძულებითი თანაცხოვრება მოუხდა აბსოლუტურად განსხვავებული ასაკის, განათლების, ინტელექტისა და რელიგიური მწამრსის ადამიანებთან, რაც ყოველთვის თან ახლავს, პირის საზოგადოებისაგან იზოლაციას. გარდა ამისა, სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებისგან განსხვავებით, ეს არის უფლება, რომელშიც რეგულარულად და კანონიერად ერევან ხელისუფლების ორგანოები, განსაკუთრებით დანაშაულის კონტროლის კონტექსტში. ეს არის იძულების ყველაზე სერიოზული ღონისძიება, რომელიც ნებადართულია როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლით და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებით.

პირადი თავისუფლება, რომელიც მოიხსენიება ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში ძალზე ბუნდოვანი ტერმინია. ის შესაძლებელია გაგებულ იქნეს როგორც პირის თავისუფლება, გააკეთოს ყველაფერი, რისი გაკეთებაც სურს. თუმცა არანაირ გაუგებრობას არ იწვევს მე-5 მუხლით დაცული სფერო: ეს არის კლასიკური „liberté e d'aller et venir“ (ადამიანის ფიზიკური თავისუფლება). პრაქტიკაში შესაძლებელია ტერმინის შემდგომი განმარტება დაკავებასა და დაპატიმრებასთან მიმართებაში, რომელთაგან ის იცავს ადამიანს.

ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების გამოყენება შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ჭეშმარიტი საჯარო ინტერესი, რომელსაც, უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, შეუძლია გადაწონოს პირის თავისუფლების მოთხოვნა. მისი არსებობა დგინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ასეთ გარემოებებზე, ევროპული სასამართლო და

საქართველოს სსსკ-ები მიიჩნევენ მიმალვის, მტკიცებულებების განადგურების, მოწმეებზე ზემოქმედების (და ა.შ.) განხორციელების გზით საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხეს. მისი გამოყენება ასევე დასაშვებია, როდესაც იგი აშკარა და მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საზოგადოებას და ეს საფრთხე შეუძლებელია სხვაგვარად იქნეს განეიტრალებული.<sup>28</sup>

კონვენციის მე-5 (3) მუხლი უფლებას ანიჭებს პირს იყოს თავისუფალი წინასწარი გამოძიების პერიოდში, მოსალოდნელი პატიმრობის ვადის ხანგრძლივობის მიუხედავად, და არ ითვალისწინებს წინასწარი უპირობო დაპატიმრების შესაძლებლობას დაკავების ხანგრძლივობის სიმცირის შემთხვევაშიც კი, ვინაიდან პრეზუმფცია ყოველთვის გათავისუფლების სასარგებლოდ არსებობს. პრეზუმფცია თავისუფლების სასარგებლოდ კი მოიცავს აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების გამოყენების შემთხვევების და ხანგრძლივობის მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებთან შესაბამისობაში მყოფ მინიმუმამდე დაყვანის აუცილებლობას და ბრალდებულის დაპატიმრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ჭეშმარიტი საჯარო ინტერესი, რომელსაც უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად შეუძლია გადაწონოს პიროვნების თავისუფლების მოთხოვნა. ასეთ გარემოებად მიიჩნევა მიმალვის, მტკიცებულებების განადგურების, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის, საზოგადოებისათვის აშკარა და მნიშვნელოვანი საფრთხე, რომლის განეიტრალება სხვაგვარად შეუძლებელია.

საერთაშორისო აქტებში ხაზგასმითაა აღნიშნული იძულების ისეთი ღონისძიებების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენების მიზანშეწონილობა, როგორებიცაა, მაგალითად: გირაო, გამოცხადების ვალდებულება და ა.შ., რაც არ უკავშირდება პირის თავისუფლების შეზღუდვას; წინასწარი პატიმრობის გამოყენების შემთხვევებისა და ხანგრძლივობის, მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესების შესაბამისად, მინიმუმამდე დაყვანის,

---

<sup>28</sup> იური გაბისონია - აღკვეთი ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლის პრობლემემატიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. ჟურნალი „სამართალი“ 2001 წელი, N 11, 77;



დაპატიმრების მხოლოდ განსაკუთრებული ღონისძიების სახით გამოყენების აუცილებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისი 205-ე მუხლის თანახმად, პატიმრობა, როგორც აღკვეთი ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა დავიდან იქნეს აცილებული:

1. ბრალდებულის მიმალვისა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;
2. ბრალდებული მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლა;
3. ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა;

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა განსხვავებით წინა საპროცესო კანონმდებლობისაგან არ აღნიშნავს, რომ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენება მაშინ, როცა ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ დაპატიმრების გამოყენება შესაძლებელია იმ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთა მიმართ, რომლის სანქცია სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, მაგ: სსკ-ის 125 მუხლი.

1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსის თანხმად, დაპატიმრება გამოიყენებოდა, მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა ისეთი დანაშაულის ჩადენა, როლისთვისაც კანონით გათვალისწინული იყო თავისუფლების აღკვეთა 2 წლით ან 2 წელზე მეტი ვადით. აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება შესაძლებელი იყო, მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი დაარღვევდა ნებისმიერ აღკვეთი ღონისძიებას, თუნდაც იმ შემთხვევაში თუ მუხლი სასჯელის სახით ითვალისწინებდა 2 წელზე ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთას. ე.ი. მოქმედმა საპროცესო კანონმდებლობამ გააფართოვა აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების არეალი, რითაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მთავარია სისხლის

სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, მიუხედავად მისი სიმძიმისა და დანაშაულის ჩადენისათვის დაკისრებული სასჯელის სიმკაცრისა.

აღნიშნული გარემოება მეტწილად შეზღუდული იყო ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, ვინაიდან დაპატიმრება როგორც წესი არ გამოიყენებოდა, მძიმე ავადმყოფის, არასრულწლოვნის, ხანდაზმულის, 12 კვირაზე მეტი ხნის ორსული ქალისა და იმ ქალის მიმართ, რომელსაც ყავდა ერთ წალმდე ჩვილი, აგრეთვე არ შეიძლებოდა გამოყენებულიყო იმ პირთა მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა გაუფრთხილებლობით, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 3 წლით ან 3 წელზე მეტი ვადით, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა აღკვეთი ღონისძიების გამოყენების საფუძვლები.

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაპატიმრების გამოყენება უნდა ექვემდებარებოდეს მკაცრ აუცილებლობას და სუბსიდიარობის პრინციპის პატივისცემას, რაც გულისხმობს მის არა მხოლოდ ეფექტიანობას, არამედ მის ნაცვლად სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენების უშედეგობასაც. უფრო მეტიც, ეს ღონისძიება უნდა იყოს პროპორციული, დროებითი, ექვემდებარებოდეს გადასინჯვას ვითარების შეცვლის შემთხვევაში,

განსაზღვრული უნდა იყოს მისი მაქსიმალური ხანგრძლივობა და იმ სამართალდარღვევის სიმძიმე, რომელთან დაკავშირებითაც ხდება მისი გამოყენება ან რომლის ჩადენის თავიდან აცილებისკენ არის იგი მიმართული. რაც შეეხება მიზნებს, იგი მიმართული უნდა იყოს მართლმსაჯულების განხორციელების, განაჩენის აღსრულებისათვის ხელის შეშლის და რეციდივის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. დაუშვებელია მისი გამოყენება დასჯის, სასჯელის წინასწარ უზრუნველყოფის ან, თუნდაც გამოძიების მიზნების ხელშეწყობისთვის.

ამდენად, საპროცესო იძულების ღონისძიების სახით თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება უნდა წარმოადგენდეს გამონაკლისს და გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ

შემთხვევაში, როდესაც საპროცესო იძულების ღონისძიების მიზნის მიღწევა აღკვეთის სხვა სახის ღონისძიებით პრაქტიკულად შეუძლებელია.<sup>29</sup>

## 2.1. გარემოებები, რომლებიც წარმოადგენს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საფუძველს

ბრალდებულის მიმალვისა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა - მიმალვის საფრთხე მიეკუთვნება სასამართლოების მიერ დაპატიმრების გამოყენების ერთ-ერთ მთავარ და ყველაზე ხშირად გამოყენებად საფუძველს. იგი უფრო მეტად ემყარება სამართალდარღვევის სერიოზულობას და სასჯელის სიმკაცრეს, ვიდრე ობიექტურ მონაცემებს და ცნობებს, რომლებიც მოგვცემდნენ საფუძველს მიმალვის რეალური საფრთხის არსებობაზე ვარაუდისათვის. არ არსებობს პირის მიმალვის საფრთხის დასადგენი ზოგადი კრიტერიუმები და საფრთხის არსებობა საქმის ყველა გარემოების ანალიზის, ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასების საფუძველზე უნდა დადგინდეს. კერძოდ, მიმალვის საფრთხის არსებობის შესაფასებლად აუცილებელია პირისათვის შერაცხული ქმედების არსის და სიმძიმის, მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების და ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინება.

მიმალვის საფრთხეს არ ქმნის არც სახელმწიფო საზღვრის დაუბრკოლებლად გადაკვეთის შესაძლებლობის არსებობა, რაც დღესდღეობით საკმაოდ გამარტივებულია ცალკეულ სახელმწიფოებთან უვიზო მიმოსვლის არსებობის ან ვიზის სახელმწიფო საზღვარზე მიღების შესაძლებლობის პირობებში. ამიტომ ამ ტიპის საფრთხის რეალურობის განსაზღვრისათვის აუცილებელია, რომ ბრალდებულის პიროვნების მახასიათებელი ყველა სხვა გარემოება ან ადასტურებდეს მიმალვის საფრთხის არსებობას, ან ამ საფრთხეს ამცირებდეს იმ მინიმუმადე, რაც გაუმართლებელს გახდის თავისუფლების

<sup>29</sup> ლალი ფაფიაშვილი - თავისუფლება შემზღვეველი საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების საერთაშორისო - სამართლებრივი სტანდარტები. 2010, 71;

შეზღუდვის გამოყენებას. მით უმეტეს, რომ მიმალვის საფრთხეს დროის ხანგრძლივობასთან ერთად ახასიათებს კლების ტენდენცია.

დაუსაბუთებლად და ბრალდებულის თავისუფლებაზე უფლების ხელყოფად მიიჩნევა ბრალდებულის მიმალვის საფრთხის შეფასება მხოლოდ ჩადენილი ქმედების სიმძიმის საფუძველზე, თუ არ ხდება საქმესთან დაკავშირებული სხვა გარემოებების გათვალისწინება, როგორცაა ბრალდებულის ნასამართლობა, ციხეში გატარებული დროის გავლენა ბრალდებულზე და სხვა. რეციდივის საფრთხის არსებობის დადასტურებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ წინა ნასამართლეობაზე მითითება. არ შეიძლება მიმალვის საფრთხის შეფასება არც მხოლოდ ბრალდებულისათვის მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრით ან შესაბამის სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ზოგადი სოციალური საფრთხით, რასაც მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სასჯელის ერთ-ერთი მიზნის – ზოგადი პრევენციისათვის და გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, ჯერ დაადგინოს ბრალდებულის ბრალეულობა სასამართლო განხილვის გზით, რომლის მსვლელობისას დაცული იქნება სასამართლო განხილვის მიუკერძოებლობა და ბრალდებულის უფლებები.<sup>30</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ, როდესაც პატიმრობაში მყოფი პირის პატიმრობის გაგრძელების ერთადერთი მიზეზი არის ბრალდებულის მიმალვის შიში, მაგრამ მისგან შესაძლებელია გარანტიის მიღება, რომ უზრუნველყოფილი იქნება [სასამართლო პროცესზე მისი] გამოცხადება, მოსალოდნელ პროცესამდე უნდა გაიცეს მისი გათავისუფლების ბრძანება და მოპოვებულ იქნეს სასამართლოში მისი გამოცხადების გარანტიები. თუ ვერ ხერხდება ასეთი გარანტიების მოპოვება ან ისინი შეუსაბამოდაა მიჩნეული, სასამართლომ არ უნდა გამოიყენოს შედარებით მკაცრი ღონისძიება, თუკი იმავე მიზნის მიღწევა შესაძლებელია ნაკლებად მკაცრი იძულების ღონისძიებით: მაგალითად, ბრალდებულის გარკვეულ ადგილას ცხოვრების, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩაბარების, პოლიციაში

---

<sup>30</sup> ფილიპ ლიჩი - როგორ მივმართოს ადამიანის ევროპულ სასამართლოს, 2013 წელი, 342;

პერიოდულად გამოცხადების და ა.შ. გზით. იმავდროულად აუცილებელია თანაზომიერების დაცვა. პატიმრობის ნაცვლად აღკვეთის სხვა ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში გამოცხადებისა და ჯეროვანი ქცევის უზრუნველყოფელი ღონისძიებები უნდა იყოს რეალისტური, შესრულებადი და არ უნდა იყოს იმდენად რთული, რომ თავისუფლების შეზღუდვისაგან გათავისუფლებას დაუკარგონ ძირითადი აზრი (ანუ თავისუფლების დაბრუნებას). სწორედ ამიტომ თავდებობა და გამოცხადების ვალდებულება უნდა იყოს გაქცევის მცდელობის ეფექტიანი დამაბრკოლებელი გარემოება. მიმალვის საფრთხე - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძვლებზე:

1) საქმე „სულაოჯა ესტონეთის ჭინააღმდეგ“ ( 15.02.2005) - 1998 წლის 14 თებერვალს განმცხადებელი დაკავებულ იქნა ბინაში უკანონდ შეღწევის ქურდობის ჩადენისათვის. მას შეეფარდა საცხოვრებელი სახლიდან გაუსვლელობის ვალდებულება. 1998 წლის 20 თებერვალს განმცხადებელს ბრალი წარედგინა ბინაში შეღწევით ქურდობისათვის 3 ეპიზოდისათვის. აღკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრება შეეფარდა. სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ვინაიდან განმცხადებელს არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არსებობდა ვარაუდი, რომ გათავისუფლების შემთხვევაში, ის მიიმალებოდა და გააგრძელებდა დანაშაულებრივ საქმიანობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ დაადგინა მე-5 (3) მუხლის დარღვევა შემდეგი გარემოებების გამო:

- ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცავდა მოკლე სტანდარტულ აღწერილობას, რომლის თანახმად პატიმრობა გამართლებულ იყო, ვინაიდან მომჩივანი წარსულში ნასამართლევ იყო, არ ჰქონდა საცხოვრებელი, სამუშაო ადგილი, არ ჰყავდა ოჯახი, რის გამოც მას შეეძლო ჩაედინა ახალი დანაშაული და მიმალულიყო. დამატებითი დასაბუთება, რომელიც გაამართლებდა პირის შემდგომ პატიმრობას, საქმეში მოცემული არ იყო;

- მუდმივი საცხოვრებლის არარსებობა მიმალვის საფრთხეს არ წარმოშობს. არც ოჯახის ან სამუშაო ადგილის არარსებობა გულისხმობს ახალი დანაშაულის ჩადენას;
- განგრძობადი პატიმრობის საკითხის გადაწყვეტისას, ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი არიან განიხილონ ალტერნატიული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს პირის სასამართლოს წინაშე გამოცხადებას. მოცემულ საქმეში ასეთი გარანტიები განხილულ არ ყოფილა.

2) საქმე „სტრელესტი რუსეთის წინააღმდეგ“ (06.02.2013)

განმცხადებელი იყო ერთ-ერთი საავიაციო კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი. 2003 წლის 28 ივლისს ის გაემგზავრა სამხრეთ აფრიკაში, სადაც დარჩა 17 სექტემბრამდე. ამის შემდეგ ის გაემგზავრა გაერთიანებულ სამეფოში და რუსეთში დაბრუნდა 2003 წლის 23 სექტემბერს. 2003 წლის 30 ივლისს ვოლგოგრადის რაიონილმა პროკურატურამ დაიწყო გამოძიება თაღლითობის ფაქტზე. 2003 წლის 24 სექტემბერს მომჩივანზე გამოცხადდა საერთაშორისო ძებნა. 26 სექტემბერს მომჩივანს შეეფარდა პატიმრობა. თავის გადაწყვეტილებაში ადგილობრივმა სასამართლომ მიუთითა, რომ განმცხადებელს ბრალი ედებოდა მძიმე დანაშაულის ჩადენაში, ის მიემალა გამოძიებას და ხელი შეუშალა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. რის გამოც აუცილებელი იყო აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-5 (3) მუხლის დარღვევა შემდეგი გარემოებების გამო:

- რისკი იმისა, რომ მომჩივანი მიიმალებოდა ან ხელს შეუშლიდა გამოძიებას, ეფუძნებოდა ფაქტს, რომ მომჩივანმა სავარაუდოდ რუსეთი დატოვა გამოძიების დაწყების შემდეგ. სასამართლომ განმარტა, რომ მის ხელთ არსებული მასალების თანახმად, ადგილობრივ ორგანოებს არცერთხელ არ მიუღიათ მხედველობაში განმცხადებლის განცხადება იმის ტაობაზე, რომ მან რუსეთი გამოძიების

დაწყებამდე დატოვა და არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა გამოძიების დაწყების თაობაზე;

- ადგილობრივმა ორგანოებმა არ დაახასიათეს დეტალურად განმცხადებლის პიროვნება, არ წარმოადგინეს მტკიცებულებები ან მოიყვანეს კონკრეტული ფაქტები, რომლებიც მის შემდგომ პატიმრობას გაამართლებდა. სასამართლომ არ განმარტა, თუ რატომ არსებობდა მიმალვის და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე;
- წინასწარი გამოძიება დასრულდა 2004 წლის 31 მაისს, თუმცა მომჩივანი პატიმრობაში რჩებოდა 2005 წლის 7 ივნისამდე. შესაბამისად, თუ გამოძიების საწყის ეტაპზე არსებობდა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე, რაც ამართლებდა პირის პატიმრობას, მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ აღნიშნულმა საფუძველმა ძალა დაკარგა და პირის პატიმრობა აღარ იყო გამართლებული.

3) საქმე „მხითარიანი რუსეთის წინააღმდეგ“ (05.02.2013)

2008 წლის 30 ოქტომბერს გამოძიება დაიწყო განმცხადებლის წინააღმდეგ კრიმინალური დაჯგუფების ფორმირებისა და გამოძალვის ორი ეპიზოდის საქმეზე. 2009 წელს განმცხადებელს წარედგინა ბრალი და შეყვანილ იქნა საერთაშორისო ძებნილთა სიაში. მის ადგილსამყოფელს მიაკვლიეს სომხეთში. საიდანაც მოხდა მისი ექსტრადირება. აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა მე-5 (3) მუხლის დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ საქმის გარემოებები გამყარებულ იყო კონკრეტული ფაქტებით:

- გონივრული ეჭვი განმცხადებლის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე არსებობდა და დანაშაული მძიმე იყო;
- რაც შეეხება პირის მიმალვის საფრთხეს, განმცხადებელმა მიიღო გარკვეული ზომები იმისთვის, რომ დაემალა ვიზიტები რუსეთში; ფლობდა დიდ ფინანსურ

რესურსებს, გაყიდა ქონება რუსეთის ფედერაციაში; განაახლა პასპორტის მოქმედების ვადა პროცედურული დარღვევით. ამ ფაქტორების ერთობლიობამ წარმოაჩინა განმცხადებლის ქცევის ზოგადი სურათი. რამაც დაადასტურა მიმალვის საფრთხის რეალურობა.

4) საქმე „გალუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (17.07.2008)

განმცხადებელი დაკავებულ იქნა 2004 წლის 26 ივნისს. 28 ივნისს მას ბრალი წარედგინა ცეცხლსასროლი იარაღისა და სააბრძოლო მასალის უკანონო ტარებისა და შენახვაში. აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა მე-5 (3) მუხლის დარღვევა, შემდეგ გარემოებათა გამო;

- სასამართლო დაეყრდნო ვაკე-საბურთალოს რაიონული მოსამართლის გადაწყვეტილებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საჭირო იყო ამოღებული იარაღის შემოწმება იმის დასადგენად, იყო თუ არა ამოღებული იარაღი გამოყენებული სხვა სამართალდარღვევისათვის;
- პირის გათავისუფლების სასარგებლოდ სასამართლომ განმარტა, რომ სამუშაო ადგილის არსებობა არის სასამართლოში გამოცხადების გარანტია, თუმცა აღნიშნული არგუმენტი ბრალდებულის მიერ იქნა შეთხზული, რადგან როგორც ეროვნული სასამართლოს განაჩენში იყო აღნიშნული ბრალდებული უმუშევარი იყო.
- თუ ბრალდებული არ წარმოადგენს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შესაბამის დოკუმენტაციას, სასამართლო არ არის ვალდებული გაითვალისწინოს დაავადების ფაქტორი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაავადების არსებობის ფაქტი შეესაბამება სინამდვილეს. მოცემულ საქმეში, ევროსასამართლოს აზრით, რადგან პატიმრობის შეფარდების მომენტში, ბრალდებულმა მხოლოდ სიტყვიერად მიაწოდა სასამართლოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის დაავადებული იყო დიაბეტით, ისე რომ არ წარმოუდგენია



შესაბამისი სამედიცინო ცნობა და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ არც მანამდე დაფიქსირებულა მედიკამენტის მოთხოვნის ან სამედიცინო პერსონალთან დაკავშირების ფაქტი, არ არსებობს აღნიშნული გარემოების გათვალისწინების ფაქტი.

როდესაც არსებობს ბრალდებულის მიერ , მიმდინარე გამოძიების პროცესში გამოძიებისა და სასამართლოსათვის განზრახ თავის არიდების ფაქტი, ეს საფუძველია იმისა, რომ ბრალდებულის მიმართ ნებისმიერ შემთხვევაში გამოყენებულ იქნეს პატიმრობა. მაგალითად, Punzelt v. the Czech Republic, 31315/96, 2000 წლის 25 აპრილი, ევროსასამართლომ მიმალვის საფრთხე შეაფასა და პატიმრობის გამოყენებისთვის საკმარისად მიიჩნია ბრალდებულის მიერ მართლმსაჯულებისთვის თავის არიდების ადრინდელი ფაქტის არსებობის საფუძველით. სასამართლომ მიუთითა, რომ ეს დასაბუთება საკმარისი და რელევანტური იყო და აღემატებოდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს. მითუმეტეს, მოცემულ შემთხვევაში არანაირი გარანტია იმისა, რომ ის კვლავ არ მიიმალება და ხელს არ შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას, არ არსებობს.<sup>31</sup>

## 2.2. ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლა

ძნელია აბსოლუტურად ზუსტად იქნეს განჭვრეტილი იმ პირის ქცევა, რომლის პასუხისგებაში მიცემაც ხორციელდება. ამიტომ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხის განხილვისას დგინდება ბრალდებულის სავარაუდო ქცევა. თუმცა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე არ შეიძლება ძალიან განზოგადებულად იქნეს განხილული, სასამართლოს არ შეუძლია გაითვალისწინოს საფრთხე იმ ფაქტობრივი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში, რომლებიც დაადასტურებენ საფრთხის რეალურობას. დასკვნა ასეთი ქცევის შესახებ უნდა ემყარებოდეს არა ინტუიციურ ვარაუდებს, არამედ ობიექტურად დადგენილ ფაქტებს და მტკიცებულებებს, საქმის

<sup>31</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება N 1გ/1226, 2014 წლის 03 დეკემბერი;

კონკრეტულ გარემოებებს, მიუხედავად იმისა, რომ საფრთხე წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის მიზანშეწონილობის შეფასების ელემენტს, იგი არ შეიძლება დადგენილი იქნეს დაუსაბუთებლად, აბსტრაქტული განცხადებების საფუძველზე. საკმარისად არ მიიჩნევა ვარაუდი იმის შესახებ, რომ გათავისუფლებით ბრალდებულს მიეცემა მოწმეებზე ზემოქმედების, მტკიცებულებების განადგურების, მტკიცებულებათა ხშირი ცვლით გამოძიების გაჭიანურების ან გამოძიების შეცდომაში შესაყვანად მიმართული სხვა მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობა.

საფრთხის არსებობა უნდა იყოს კონკრეტულ ფაქტებზე და გარემოებებზე დამყარებული და ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა მტკიცებულებებთან მიმართებით, ამ შემთხვევაშიც უნდა იქნეს შემოწმებული მათი დასაშვებობა და დასაბუთებულობა. სასამართლომ უნდა განსაზღვროს კონკრეტულად რა ტიპის ქმედებების, ვისთან მიმართებით და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის რომელი ხერხის ან საშუალების არსებობას მიიჩნევს დასაბუთებულად. მაგ., გამოძიების რთული ხასიათი ზრდის მტკიცებულებათა დაფარვის ან განადგურების რისკს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული სპეციფიკური გარემოებები, რომლებიც ბრალდებულის მდგომარეობიდან გამომდინარე, ამართლებს დაპატიმრების გამოყენებას. გასათვალსიწინებელია, რომ მოწმეებზე ზეგავლენის ან მტკიცებულებების განადგურების საფრთხე მცირდება გამოძიების მიმდინარეობის და საქმის წარმოების სტადიის შესაბამისად. ამიტომ ძნელია საუბარი მოწმეებზე ზემოქმედების თავიდან აცილების საფუძვლით დაპატიმრების გამოყენებაზე, თუ დასრულებულია ყველა საგამოძიებო მოქმედება, დაკითხულია ყველა მოწმე და ა.შ. მითუმეტეს, აღნიშნული საფუძვლით ვადის გაგრძელება არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს პროცესის დასრულების შემდეგ.<sup>32</sup>

ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლა - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე:

---

<sup>32</sup> ჯერემი მაკბრაიდი - ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2011 წელი, 41;

1) საქმე „ჯარზინსკი პოლონეთის წინააღმდეგ“ (04.10.2005)

განმცხადებელი დაპატიმრებულ იქნა 1999 წლის 1 ივნისს ყაჩაღობის რამდენიმე ეპიზოდის ბრალდებით. გამოძიების მიმდინარეობისას განმცხადებლის პატიმრობა სამჯერ გაგრძელდა. ადგილობრივმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი შეეცდებოდა გავლენა მოეხდინა მოწმეებზე, რათა ამ უკანასკნელთ მიეცათ ცრუ ჩვენება ან სხვა არაკანონიერი გზით შეეცდებოდა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლას. სასამართლოს წინაშე სახელმწიფომ განმარტა, რომ განმცხადებლის პატიმრობა დამატებით გამართლებულ იყო საქმის სირთულით და მტკიცებულებების მოპოვების საჭიროებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-5 (3) მუხლის დარღვევა შემდეგ გარემოებათა გამო:

- სერიოზული დანაშაულის ჩადენის შესახებ გონივრული ეჭვის არსებობა შესაძლოა თავდაპირველად იყოს გამართლებული პატიმრობის შესაფარდებლად. გარდა ამისა, ადგილობრივ ორგანოებს ჰქონდათ რთული სამუშაოები იმ დამნაშავეთა პასუხისმგებლობის ხარისხისა და ფაქტების დასადგენად, რომელთაც ორგანიზებული დანაშაულის ჩადენაში ედებოდათ ბრალი. აღნიშნულ გარემოებებში, სხვადასხვა წყაროებიდან მოცულობითი მტკიცებულებების მოპოვება წარმოადგენდა „შესაბამის და საკმარის საფუძველებს“ განმცხადებლის დაპატიმრებისათვის;
- თუმცა გარკვეული პერიოდის გასვლის გასვლის შემდეგ, აღნიშნული საფუძველი ნაკლებად რელევანტური გახდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბრალდებულები ხელს უწყობენ სამართალწარმოების გაჭიანურებას, იყენებენ რა თავიანთ საპროცესო უფლებებს, აღნიშნული საფუძველები არ არის საკმარისი განმცხადებლის პატიმრობის მთელი პერიოდის გასამართლებლად.
- რაც შეეხება მოწმეებზე ზეწოლის მოხდენის ან სამართალწარმოებისათვის ხელის შეშლის საფრთხეს, სასამართლო თვლის, რომ არც აღნიშნული წარმოადგენს შესაბამის და საკმარის საფუძველებს განმცხადებლის პატიმრობის მთელი

პერიოდის გასამართლებლად. ადგილობრივი ორგანოები მხოლოდ ვარაუდობდნენ, რომ განმცხადებელი ზეწოლას მოახდენდა მოწმეებზე და ხელს შეუშლიდა სამართალწარმოებას მკაცრ სასჯელზე და დანაშაულის ხასიათზე მითითებით. თუმცა, არცერთი არგუმენტი არ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული საფრთხეების დასასაბუთებლად. ასე ზოგადად ფორმულირებული საფრთხე შესაძლოა საკმარისი იყოს პატიმრობის საწყის ეტაპზე, მიუხედავად ამისა, საფრთხის რეალურად არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, აღნიშნული საფუძვლები პირის პატიმრობაში დარჩენის გასამართლებლად ვერ გამოდგება.

2) საქმე „ მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ ” (09.10.2012)

2005 წლის 29 ოქტომბერს განმცხადებელი დაკავებულ იქნა პოლიციის თანამშრომლის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე. 30 ოქტომბერს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-5 (3) მუხლის დარღვევა შემდეგი გარემოებების გამო:

- განმცხადებლის მეგობრები იყვნენ მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმის ძირითადი მოწმეები. მსგავსი გარემოების დროს მომჩივნის შესაძლებლობა, გავლენა მოეხდინა მოწმეებზე, არ შეიძლება გამოირიცხოს და შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია მხედველობაში არ მიიღოს მსგავსი რისკის არსებობა.

3) საქმე „ლეტელიე საფრანგეთის წინააღმდეგ ” (26.06.1991)

მომჩივანს ბრალი ედებოდა საკუთარი ქმრის მკვლელობის დახმარებასა და წაქეზებაში. მოსამართლემ ის გაათავისუფლა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ბრძანება გააუქმა. მომჩივნის პატიმრობის ერთ-ერთი საფუძველი მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის საფრთხე იყო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-5 (3) მუხლის დარღვევა შემდეგ გარემოებათა გამო:

- მიუხედავად იმისა, რომ მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის საფრთხე მართლაც შეინიშნებოდა გამოძიების საწყის ეტაპზე, რამდენიმე მოწმის დაკითხვის შემდეგ, ის უკვე აღარ იყო გადამწყვეტი. უფრო მეტიც, არაფერი ადასტურებდა, რომ მომჩივანი ახორციელებდა მოწმეების დაშინებას მისი ციხიდან გამოშვების პერიოდში სააპელაციო სასამართლოს მიერ დაპატიმრებამდე. ანუ სასამართლომ განაცხადა, რომ შესაძლოა საწყის ეტაპზე მოწმეებზე ზეწოლის განხორციელების რეალური რისკი რსებობდა, თუმცა ის შემცირდა გარკვეული დროის შემდგომ. შესაბამისად, მისი პატიმრობა აღნიშნული საფუძვლით აღარ იყო გამართლებული.

### 2.3. ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე

ახალი დანაშაულის ჩადენის რისკებთან დაკავშირებით, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ცხადყოფს, რომ ბრალდებულის წარსული არ არის გათავისუფლებაზე უარის თქმის საკმარისი საფუძველი, თუმცა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ პირი ანალოგიურ დანაშაულზეა ნასამართლვე. თუ საქმე გვაქვს თაღლითობასთან, ყალბი დოკუმენტის დამზადებასთან ან სხვა მსგავსი ტიპის დანაშაულთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არამხოლოდ მტკიცებულებების გაყალბების ან განადგურების საფრთხე, არამედ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.

ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე განსაკუთრებით არსებობს მაშინ, როცა წინა ნასამართლობის ხასიათი და სიმძიმე მსგავსია წაყენებული ბრალდებისა.

საქმეში “ქლუთი ბელგის წინააღმდეგ” (1991) განმცხადებელს ბრალი ედებოდა ცეცხლის წაკიდებასა და არასრულწლოვანი გოგონას მკვლელობაში, რომლის დასახიჩრებული სხეულიც იპოვეს დამწვარ შენობაში. განმცხადებელი წინათ ნასამართლები იყო ქურდობისთვის, რისთვისაც მას მოხდილი ჰქონდა ორ თვიანი პატიმრობა და ასევე დეზერტირობისთვის, რისთვისაც ერთთვიანი სამხედრო პატიმრობა მიესაჯა. სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის წინა ნასამართლობები არც ხასიათით და არც სიმძიმით არ წააგავდა დანაშაულს, რომელშიც მას ბრალი ედებოდა.

როგორც ავღნიშნეთ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ახალი დანაშაულის ჩადენის მიმანიშნებელ გარემოებებად მიიჩნევს სავარაუდო სამართალდარღვევის ხასიათსა და სიმძიმეს, ნასამართლობას და პიროვნულ მაჩვენებლებს. მაგალითად, თუ პირი ნასამართლევა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის და მას დროის უმოკლეს მონაკვეთში კვლავ წარედგინება ბრალდება იგივე დანაშაულის ჩადენისათვის, შესაძლებელია პირის მიმართ გამოყენებულ იქნას პატიმრობა მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა. (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე №1გ/1226).

#### **2.4. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა**

როგორც დაპატიმრების საფუძველი - ევროპული კონვენცია პირის მიმართ დაპატიმრების გამოყენებას ასევე ითვალისწინებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, რაც, როგორც წესი, ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე, საზოგადოებისათვის რეალური და კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილებას უკავშირდება. იმავდროულად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, საქართველოს სსსკ-ის კანონმდებლობისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ცნებას ფართოდ განმარტავს და მოიაზრებს როგორც ბრალდებულისგან საზოგადოების დაცვას, ისე თავად ბრალდებულის დაცვას საზოგადოებისა და პროცესში მონაწილე პირების შურისძიებისაგან. აღნიშნული გამონაკლის შემთხვევებს მიეკუთვნება და არ შეიძლება ეყრდნობოდეს არც მხოლოდ წაყენებული ბრალდების და არც მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეს. უნდა არსებობდეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ ასეთი საფრთხის რეალურობასა და მისი თავიდან აცილების სხვა საშუალებების არაეფექტიანობაზე. იმავდროულად, როდესაც საქმე ეხება ასეთ საფრთხეს, ზუსტად უნდა განისაზღვროს საფრთხის ხასიათი და ხარისხი. ეს საკმაოდ მყიფე და შეფასებითი კატეგორიაა, ვინაიდან ერთი და იმავე ქმედებიდან გამომდინარე

საფრთხე შესაძლებელია სხვადასხვაგვარად იქნეს აღქმული სხვადასხვა ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფში, საზოგადოების სხვადასხვა ფენაში.

ეს საფუძველი შესაძლოა გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ მოსამართლე ან კანონით უფლებამოსილი პირი შეძლებენ მიუთითონ კონკრეტულ ფაქტებზე, რომლებიც ადასტურებს, რომ პირის გათავისუფლება ფაქტობრივად გამოიწვევს საზოგადოებრივი წერივის დარღვევას.<sup>33</sup>

საქმეში “ლიტელიერი საფრანგეთის წინააღმდეგ” (1991) განმცხადებელი იყო თავისი ქმრის მკვლელობის ხელშეწყობაში ბრალდებული. სასა- მართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლისთვის პატიმრობის შეფარდების საფუძველი იყო ზოგადი, კერძოდ ის, რომ მისი თავისუფლებაში ყოფნა დაარღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, მომხდარი მკვლელობიდან გამომდინარე. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს საფუძველი არ იყო საკმარისი, ვინაიდან არ არსებობდა მისი გამამყარებელი მტკიცებულებები. სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგიერთმა დანაშაულმა, მისი სიმძიმიდან და საზოგადოების რეაქციიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიწვიოს გარკვეული დაძაბულობა საზოგადოებაში, რაც შეიძლება გახდეს წინასწარი პატიმრობის შეფარდების საფუძველი, თუნდაც გარკვეული დროით. მაგრამ აღნიშნული უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ ფაქტებს, რომ ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნა ფაქტობრივად დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს.

ხშირად ისმის საკითხი პრევენციული დაპატიმრების შესახებ, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა, არსებული კრიმინოგენური ვითარებიდან გამომდინარე, პრიორიტეტულ ხასიათს ატარებს. უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრობაში პირების მონაწილეობის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის გამოყენება საჯარო პრევენციის პოლიტიკის მიზნებისთვის, რომელიც მიმართული იქნება ყველა იმ პირის მიმართ, ვინც საფრთხეს ქმნის მათი მუდმივი დანაშაულებრივი მიდრეკილებების გამო, დაუშვებელია. კონვენცია ნებადართულად მიიჩნევს

<sup>33</sup> <sup>33</sup> ჯერემი მაკბრაიდი - ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2011 წელი, 41;

სახელმწიფოების მიერ ისეთი ზომების გატარებას, რომლებიც მიმართული იქნება მხოლოდ კონკრეტული და განსაზღვრული სამართალდარღვევების თავიდან ასაცილებლად.

წყენებული ბრალდების სიმძიმეც შესაძლებელია წარმოადგენდეს მნიშვნელოვან საფუძველს პრევენციული დაპატიმრებისთვის, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ბრალდების სიმძიმე სხვა ზოგად კრიტერიუმებთან ერთობლიობაში უნდა იქნეს განხილული, რათა დადგინდეს რისკის დამადასტურებელი მტკიცებულებების არსებობა. სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა ცალსახად არ თვლის დანაშაულის სიმძიმეს დაპატიმრების გამოყენების საკმარის წინა პირობად. უფრო მეტიც, სასამართლომ კონვენციის 5.3. მუხლის ხელყოფად მიიჩნია ისეთი შემთხვევა, როდესაც ბრიტანული კანონი ავტომატურად ართმევდა პირს, აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გარდა, სხვა ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას მძიმე დანაშაულის ჩადენაში მისი ბრალდების გამო. საქართველოს კანონმდებლობა პირის მიმართ დაპატიმრების გამოყენების შემთხვევებს პირდაპირ არ უკავშირებს დანაშაულის სიმძიმეს და ადგენს პრევენციული დაპატიმრების გამოყენების შესაძლებლობას ყველა იმ დანაშაულის მიმართ, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, რაც პოტენციურად კიდევ უფრო მეტად ზრდის დაპატიმრების გამოყენების შემთხვევებს, ვინაიდან პროცესის მწარმოებელ პირებს დაპატიმრების გამოყენების შესაძლებლობას ანიჭებს ნაკლებად მძიმე დანაშაულებთან მიმართებითაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მეტად იზრდება დაპატიმრების გამოყენების დასაბუთების მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაპატიმრების გამოყენების მკვეთრი ზრდა და აუცილებლობის გარეშე მისი მექანიკური გამოყენება დანაშაულთა უფრო ფართო წრის მიმართ.<sup>34</sup> სწორედ ამიტომ სსსკ ავალდებულებს პროკურორს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობაში დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების

<sup>34</sup> ჟან პრადელი შედარებით სისხლის სამართლის პროცესი, 2011, 324;



მიზანშეუწონლობა, მიუთითოს ბრალდების არსი, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია თუ მტკიცებულება, რომელსაც ემყარება ბრალდება, თუმცა, იმავდროულად, კოდექსი არ და ვერ მიუთითებს აღნიშნული მასალების ჩამონათვალს. “პრაქტიკული რეკომენდაციები მაგისტრატი მოსამართლეებისათვის“ მიუთითებს, რომ შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოს უნდა წარედგინოს შუამდგომლობის `განხილვისათვის საჭირო მასალების ასლები“, რაც გულისხმობს, მაგალითად, დაკავების ოქმის ასლს(თუ პირი დაკავებულია არ იყო), პირადი ჩხრეკის ოქმის ასლს, სხვა გადაუდებელ საგამომიებო მოქმედებათა ოქმების ასლებს, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების ასლს, ყველა იმ წერილობითი მტკიცებულების ასლს, რაც საფუძვლად უდევს წარდგენილ ბრალდებას (ანუ, რაც მითითებულია ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში). შესაძლებლობის შემთხვევაში სასამართლოს უნდა წარედგინოს დოკუმენტები ბრალდებულის ნასამართლობისა და 198-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებათა შესახებ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით კიდევ რა დოკუმენტების წარდგენაა აუცილებელი შუამდგომლობის განხილვისათვის, ანუ მოთხოვნის დასაბუთებისათვის, წყვეტს პროკურორი.

იმავდროულად, აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას, რეკომენდაციები ავალდებულებს მოსამართლეს, ყველა შემთხვევაში [მიუხედავად იმისა, მხარეები ხდიან თუ არა სადავოდ რომელიმე ქვემოთ მითითებულ საკითხს], ყურადღება გაამახვილოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივ (მტკიცებულებითი) და ფორმალურ (საპროცესო) საფუძვლებზე, კანონის მოთხოვნების დაცვის საკითხზე:

- დაკავებისას,
- ბრალდების წარდგენისას,
- მტკიცებულებათა მოპოვება-დამაგრებისას,

თუ მხარე სადავოდ არ ხდის დაკავებისას, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისას ან მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისას კანონის მოთხოვნათა დაცვას, სასამართლო მაინც ვალდებულია, განჩინებაში შეაფასოს, დაცულია თუ არა კანონის

მოთხოვნები დაკავებისას და მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისას, თუმცა, თუ სასამართლოც დარწმუნდება, რომ დარღვევა დაშვებული არ ყოფილა, მითითება ამის შესახებ შეიძლება იყოს შედარებით ტრაფარეტული. მაგრამ, თუ მხარე სადავოდ ხდის დაკავების, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის ან მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრების კანონიერებას, მოსამართლემ უნდა გამოარკვიოს, თუ რაზე მითითებით, რის საფუძველზე მიიჩნევს მხარე, რომ დარღვეულია კანონი, რა მოთხოვნა იქნა დარღვეული და რაში გამოიხატა იგი.

## **2.5. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების ვადა**

ბრალდებულის დაპატიმრება, აღკვეთის ღონისძიების სხვა სახეებისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით გამოიყენება. სსსკ-ის 205-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „ ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა განთავისუფლდეს პატიმრობიდან.

თავისთავად, დაკავება არ არის აღკვეთი ღონისძიების გამოყენების სახე, მაგრამ, ამასთან, იგი ასევე პიროვნების პირადი თავისუფლების შეზღუდვაა. აქედან გამომდინარე, დაპატიმრების ვადაში უნდა ჩაითვალოს პირის დაკავების ვადა.<sup>35</sup> აღნიშნული გათვალისწინებულის სსსკ-ის 205 მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმად ბრალდებულის დაკავების ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა - ამ აღკვეთი ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილვევი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

საქართველოს კანონმდებლობა პირის თავისუფლების შეზღუდვის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრავს 9 თვეს. 9- თვიანი ვადა მოიცავს როგორც გამოძიების, ისე აპელაციის

---

<sup>35</sup> ვენედი ბენიძე - განსასჯელის პატიმრობაში ყოფნის ვადების გამოთვლის თავისებურებანი, ჟურნალი „სამართალი“, N 1-2, 2003 ;

და კასაციის სტადიებსაც. შედეგად გამოძიების სტადიაზე ბრალდებულის პატიმრობის მაქსიმალური ვადა შეადგენს 60 დღეს.

პატიმრობის ვადის გონივრულობა უნდა შეფასდეს თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის ხასიათი (ტრანსსასაზღვრო, ორგანიზებული დანაშაული, ტერორიზმი და ა.შ.), ბრალდებულთა რაოდენობა, გამოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები, სამართლებრივი საკითხების სირთულე, ბრალდებულის ქცევა. თუმცა აღნიშნული გარემოებებიც ვადის ხანგრძლივობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ამართლებს როდესაც პროცესის მწარმოებელი ორგანოები იჩენენ `ჯეროვან გულმოდგინებას. როგორც საერთაშორისო და ქართული პრაქტიკის შესწავლა მოწმობს, მე-5(3) მუხლის დარღვევათა მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება სწორედ პროცესის მწარმოებელი ორგანოების მხრიდან სხვადასხვა ფორმით გამოვლენილ ჯეროვანი გულმოდგინების არარსებობას, რაც შესაძლებელია უკავშირდებოდეს მენეჯმენტთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებებს ან ცალკეული მონაწილეების მხრიდან მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებას. სწორედ ამიტომ ვადის გაგრძელებისას სასამართლო მხედველობაში იღებს და ამოწმებს, ერთი მხრივ, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ვარაუდის დასაბუთებულობას და, მეორე მხრივ, პროცესის მწარმოებელი ორგანოების მიერ საქმის `ჯეროვანი გულმოდგინებით წარმოებას.

## **2.6. პატიმრობის ვადის ხანგრძლივობის გადასინჯვის პერიოდულობა**

პირის დაპატიმრების შემთხვევაში, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, დაპატიმრების გაგრძელების საკითხის გადასინჯვა უნდა ხდებოდეს კანონმდებლობით ან სასამართლოს მიერ დადგენილი დროის გონივრულად მოკლე პერიოდულობით არსებითი სასამართლო განხილვის თარიღის დანიშვნამდე, რისთვისაც პროცესის მწარმოებელ ორგანოს ეკისრება ვალდებულება, დროის გარკვეული პერიოდულობით წარუდგინოს სასამართლოს მის ხელთ არსებული თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები და

ბრალდებულს უნდა ჰქონდეს ავტომატური უფლება სასამართლოს წინაშე პერიოდულ წარდგენაზე, მისი თავისუფლების შეზღუდვის პერიოდული, სისტემატური გადასინჯვისთვის.

სასამართლო ვალდებულია, საქმის გარემოებათა ერთობლიობის გათვალისწინებით, განიხილოს და დეტალურად დაასაბუთოს ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების ვადის გაგრძელების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა, დაპატიმრების ვადის გაგრძელებისათვის სამართლებრივი და ფაქტობრივი, პროცესუალური და მატერიალურსამართლებრივი საფუძვლების არსებობა და მათი შემხებლობა და „საკმარისობა“ მისი გაგრძელებისათვის. სასამართლომ უნდა აჩვენოს, როგორ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვადის გაგრძელების განმაპირობებელი მიზეზი კვლავაც არსებობს. ვადის გაგრძელების მიზეზი უნდა იყოს მისაღწევი მიზნის პროპორციული. საქმის გარემოებების დეტალური შესწავლა არ უნდა მიუთითებდეს, რომ დაპატიმრების შემდგომი პერიოდი იწვევს კონსტიტუციურად დაუშვებელ დისპროპორციულობას დაპატიმრების კანონიერ მიზანსა და სამართლის ნორმის მიზანს შორის, ამ შემთხვევაში მის საერთო ხანგრძლივობასა და მის აუცილებლობას შორის. სასამართლოს განკარგულებაშია ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფელი უამრავი სხვა საშუალება, მათ შორის ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების ხელახლა გამოყენების შესაძლებლობა სამართალწარმოების შედარებით გვიანდელ სტადიაზე. ამიტომ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლები დაპატიმრების გამოყენებისათვის, სასამართლომ პატივი უნდა სცეს თანაზომიერების პრინციპს და გამოიყენოს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, თუ მისი მეშვეობითაც შესაძლებელია იმავე მიზნის მიღწევა.

მიუხედავად იმისა, რომ ვარაუდის საფუძვლიანობა ვადის გაგრძელების აუცილებელი წინაპირობაა, ვადის გასვლასთან ერთად იგი შეიძლება აღარ იქნეს საკმარისი პირის თავისუფლების შეზღუდვის დასაბუთებისათვის, ვინაიდან, ერთი მხრივ, შეიძლება არ დადასტურდეს ბრალდებულისათვის შერაცხული დანაშაულის ჩადენის

ფაქტი,გაიფანტოს ეჭვი ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ, დადგინდეს ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზანშეუწონლობა მისი ოჯახური ან ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო და ა.შ. სწორედ ამიტომ გარკვეული დროის შემდეგ სასამართლო უნდა დარწმუნდეს თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობაში სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებიც უშუალოდ ეხება განსახილველ სისხლისსამართლებრივ საქმეს და დამაჯერებლად ამტკიცებს ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ვადის შემდგომი გაგრძელების აუცილებლობას, უნდა შეამოწმოს გამოძიების ორგანოების მიერ გამოძიების წარმოება „ჯეროვანი გულმოდგინებით“.

პატიმრობის ვადის გაგრძელება შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საზოგადოების ჭეშმარიტი ინტერესი, რომელიც, უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, გადაწონის უფლებას თავისუფლებაზე. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, რომ თავისუფლების შეზღუდვის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში არსებობდეს ის მიზეზები, რომლებიც ამართლებენ მის გამოყენებას. როგორც კი აღმოიფხვრება მიმალვის, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის ან ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების საფრთხე, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. სწორედ ამიტომ ვადის გაგრძელება მაშინ არის დასაშვები, როდესაც არსებობს ვადის გაგრძელებისათვის არსებითი ხასიათის მიზეზები და ეს მიზეზები უკავშირდება ბრალდებულის პიროვნებას, რის გამოც თავისუფლების აღკვეთის ვადის გაგრძელება შეიძლება გაუმართლებელი იყოს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებითაც კი.

ზუსტად დადგენა იმისა, თუ რა მომენტიდან არის საჭირო შემდგომი დამატებითი გარემოებების დადგენა დაპატიმრების ვადის გაგრძელებისათვის, შეუძლებელია. ყოველი საქმე არსებითად უნდა შეფასდეს იმ მომენტის ზუსტად განსაზღვრისათვის, როდესაც ბრალდებას ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები

გამოსაძიებელ დანაშაულში ბრალდებულის ბრალეულობის დასაბუთებულ ვარაუდზე მეტი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მსგავსი მაშტაბებით არ ითვალისწინებს პატიმრობის ვადის გადასინჯვის საკითხს. იგი მხოლოდ, საქმის სასამართლოს წარმოების ეტაპზე აძლევს უფლებას დაცვის მხარეს წარმოადგინოს დასაბუთებული შუამდგომლობა აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე.

საერთაშორისო კანონმდებლობაში არსებული დანაწესები, როგორც წესი ზეგავლენას ახდეს შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად საპროცესო კანონმდებლობაში, მზადდება ცვლილება, რომლის თანახმად დაცული იქნება საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნა, პატიმრობის გონივრულ და უმოკლეს ვადაში გადასინჯვის თაობაზე.

თუ ამჟამად დაცვის მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს წინასწარი პატიმრობის გადასინჯვა და თავადვე დაასაბუთოს მისი ეს შუამდგომლობა, ცვლილებების მიღების შემდეგ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ყველა შემთხვევაში ბრალდების მხარეს დაეკისრება.

კანონპროექტი მოსამართლეს ასევე ავალდებულებს, რომ თავის განჩინებაში მიუთითოს ის მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც იგი გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების აუცილებლობაში დარწმუნდა; ის ასევე ვალდებული ხდება, რომ სასამართლო სხდომაზე განჩინების გამოცხადებისას ზეპირად განუმარტოს მხარეებს, თუ რომელი მტკიცებულებების საფუძველზე გამოიყენა წინასწარი პატიმრობა და რა მიზეზით მიიჩნია, რომ სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფდა აღკვეთის ღონისძიების მიზნის მიღწევას.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ამ ცვლილებების მომზადება განაპირობა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს „სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიშში“ ასახულმა შესაბამისმა

რეკომენდაციებმა, რომლებიც ყოფილი მაღალჩინოსნების 14 საქმის სასამართლო პროცესების დაკვირვებიდან გამომდინარეობს.

კანონპროექტის კიდევ ერთი ცვლილების თანახმად, როცა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება, მაგალითად გირაო, სასამართლოს საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან განესაზღვრება მაქსიმალური 2-წლიანი ვადა, რათა მან ამ საქმეზე საბოლოო განაჩენი გამოიტანოს. თუმცა ეს ვადა, რომელიც მოქმედ კანონმდებლობაში არ არის განსაზღვრული, არ გავრცელდება იმ საქმეებზე, სადაც ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას ან ძებნაშია.

## **2.7. არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს დაკავებისა და პატიმრების გამოყენების სპეციალურ დებულებებს არასრულწლოვანთა მიმართ. რაც ნიშნავს იმას, რომ არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ გამოიყენება დაკავებისა და პატიმრობის გამოყენების იგივე საფუძველები, იმავე მიზნების უზრუნველსაყოფად, როგორც სრულ წლოვანთა მიმართ.

აღნიშნული საკითხი ცალსახად უკეთ იყო რეგულირებული 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კანონმდებლობით. კრძალ, სსსკ-ის 159 მუხლის მე-3 ნაწილის თანხმად აღკვეთი ღონისძიების სახით, არასრულწლოვანის მიმართ დაპატიმრება, როგორც წესი არ გამოიყენებოდა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედებოდა სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო 3 წლით ან 3 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ბ) პუნქტი ითვალისწინებს, რომ თავისუფლების აღკვეთა შეიძლება მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით და ისიც დროის რაც შეიძლება შესბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში. გარდა ამისა, პეკინური წესების

მე-17 წესი ითვალისწინებს, რომ დაკავება: “არ უნდა შეეფარდოს არასრულწლოვან პირს, თუ ის არ არის ცნობილი დამნაშავედ სერიოზული ქმედების ჩადენაში სხვა პირის მიმართ ძალადობის გამოყენებით ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევების არაერთჯერად ჩადენაში, ასევე თუ არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ზომა.”

ჰავანის წესების მე-2 წესი ამატებს, რომ “არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.” აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, მოსამართლეებს და სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამდებობის პირებს აკისრიათ ვალდებულება, არასრულწლოვნებს თავისუფლების აღკვეთა შეუფარდონ მხოლოდ გამონაკლისის სახით და მხოლოდ ზემოაღნიშნული პირობების არსებობის შემთხვევაში. თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ეს შეზღუდვები ნათლად უნდა იყოს დადგენილი კანონში. ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების საკითხში მოსამართლეებისა და სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამშრომლების დახმარებისათვის მთავრობამ უნდა დაგეგმოს, ჩამოაყალიბოს, განავითაროს და დააფინანსოს პატიმრობის ალტერნატიული ზომების გამოყენების საშუალებები სასჯელის შეფარდებამდე და მის შემდეგაც. მოსამართლეთა ქცევის კოდექსი ან პრაქტიკული სახელმძღვანელო უნდა მოითხოვდეს, რომ სერიოზულად იქნეს განხილული იმ არასაპატიმრო ალტერნატივის გამოყენება, რომელიც ლოკალურად ხელმისაწვდომია, წინასწარი პატიმრობის ან საპატიმრო სასჯელის შეფარდების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულები კოდექსი”, რომლის შექმნაზე ინტესიურად მუშაობს ქვეყნის საკანონმდებლო ინსტიტუტი, უზრუნველყოფს იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რაც წარმოდგენილია მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით. ვინაიდან აღნიშნული კანონპროექტის თანახმად სისხლის სამართლის დევნასთან მიმართებაში უპირატესობა ენიჭება აღდგენითი მართლმსაჯულებისა და მედიაციის, აგრეთვე, განრიდების ინსტიტუტებს.



პატიმრობის, როგორც სასჯელის ფორმის, გამოყენება არასრულწლოვანთან მიმართებაში მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე იქნება შესაძლებელი და მისი მაქსიმალური ზომა 10-15 წლით განისაზღვრება. იკრძალება არასრულწლოვნისათვის უფრო მაღალი სასჯელის და უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება. ეს მიდგომები არასრულწლოვნებისადმი აღარ იქნება დამოკიდებული ბრალდების მხარის კეთილ ნებაზე, პრაქტიკაზე, არამედ წარმოგვიდგება როგორც ინსტიტუციურად გარანტირებული.

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მიხედვით, ბრალის წარდგენიდან წინასასამართლო სხდომამდე არასრულწლოვანისათვის პატიმ-რობის ვადა 60-დან 40 დღემდე მცირდება, ნასამართლობის მოხსნა კი სასჯელის მოხდისთანავე მოხდება. თუმცა, თუ ადრე გასამართლებული არასრულწლოვანი დანაშაულს განმეორებით ჩაიდენს, სასჯელის დანიშვნის დროს მისი ნასამართლობა მხედველობაში მიიღება.

შესაბამისად, კოდექსის მთავარი მიზანი არასრულწლოვნისათვის რესოციალიზაციის შანსის მიცემაა. ასევე, პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნისათვის ბრალდებულად ყოფნის ვადა 9-დან 6 თვემდე მცირდება. ნიშანდობლივია ისიც, რომ არასრულწლოვნებთან მიმართებაში მოწმის დაკითხვის ახალი წესი იმოქმედებს.

რაც შეეხება სასჯელის მოხდის პირობებს, კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანი ბრალდებული არ შეიძლება განთავსდეს სრულწლოვანთან ერთად არათუ ერთ საკანში, არამედ ერთ დაწესებულებაშიც კი.

## **2.8. საპროცესო იძულებითი ღონისძიებების ზოგადი მიმოხილვა დასავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით**

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების დოქტრინაში, კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში, როგორც წესი აღიარებულია მაღალი სტანდარტები ადამიანის თავისუფლების შეზღუდისათვის, ამ ქვეყნებში უმკაცრესი აღკვეთის ღონისძიების -

პატიმრობის გამოყენება პირველ და უმთავრესად გამოყენებად აღკვეთი ღონისძიების სახეს წარმოადგენს.

საპროცესო იძულებითი ღონისძიების სახით დაკავებისა თუ პატიმრობის გამოყენებას, საფუძვლად უდევს „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ტერმინით გამოიხატება. კერძოდ:

- მნიშვნელოვანი ეჭვი - ნიდერლანდები;
- განსაკუთრებით გაძლიერებული ეჭვი - დანია;
- ბრალეულობის დამადასტურებელი მნიშვნელოვანი სამხილები - იტალია;
- ბრალეულობის დამადასტურებელი სერიოზული სამხილები - ბელგია;

ევროგაერთიანების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემის მიხედვით, საპროცესო იძულების ღონისძიებათა გამოყენება ზოგჯერ აუცილებელია მტკიცებულებათა შესანარჩუნებლად და ეჭვმიტანილის დასწრების უზრუნველსაყოფად. რამდენადაც ეს ღონისძიება ინდივიდის უფლებებში ჩარევას გულისხმობს. მათი გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს კანონს და მასთან ერთად, იცავდეს პროპორციულობის პრინციპს, თუნდაც ეს უკანასკნელი კოდექსში პირდაპირ არ იყოს მოხსენიებული.

საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენება შეიძლება მაშინ თუ სახეზეა მატერიალური ეჭვი. კოდექსი ერთმანეთისაგან ასხვავებს სხვადასხვა დონის ეჭვს. მარტივი ეჭვი, საკმარისი ეჭვი და გადაუდებელი ეჭვი. ეს ტერმინები ალბათობის ხარისხით შეფასებაზე უთითებენ. მათი მიზანია სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვა სისხლის სამართლის პროცესში. თუმცა, ვინაიდან არ არსებობს რაიმე კრიტერიუმი მათი ერთმანეთისაგან გასამიჯნად, ასეთი დაყოფა არაეფექტურია და პრაქტიკაში თვითნებობამდე მიდის.

გერმანიის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, პირი რომელიც არ ცხადდება მოსამართლის ან პროკურორის წინაშე გამოძახებისას, შეიძლება იძულების წესით იქნეს წარდგენილი. პირის დაკავება, დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენის შემდეგ დაუყოვნებლივ, შეუძლია ყველას, მათ შორის კერძო მოქალაქესაც. ამ მოქმედებას მოსამართლის ბრძანება

არ სჭირდება. წინასწარი პატიმრობისაგან განსხვავებით, დაკავება შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ მოსამართლის არამედ პროკურორის ბრძანებითაც.

გერმანული კანონმდებლობის თანახმად წინასწარი პატიმრობის ანუ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება დასაშვებია თუ არსებობს შემდეგი საფუძვლები:

- ეჭვმიტანილის გაქცევა;
- მომავალში გაქცევის საფრთხე;
- მტკიცებულებებზე ზემოქმედების საფრთხე;
- დანაშაულის განმეორების საფრთხე;<sup>36</sup>

სსკ-ის 112 (3) მუხლის მიხედვით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისას, პირის წინასწარი პატიმრობა დაიშვება რომელიმე სპეციალური საფუძვლის გარეშე. უნდა ითქვას, რომ ეს ნორმა მეტისმეტად შეზღუდულად განმარტა ფედერალურმა სასამართლომ, რომელმაც დადგინა, რომ სსსკ -ის 112-3 პარაგრაფში გათვალისწინებულ შემთხვევებშიც, კი პატიმრობის ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი უნდა არსებობდეს, თუნდაც მცირე ხარისხით.

გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, წინასწარი პატიმრობის შეფარდება მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის კომპეტენციაში შედის. პროკურორს აქვს უფლება ამ ბრძანების მისაღებად შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს.

გერმანული კანონმდებლობა ადგენს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის 6 თვიან ვადას. იგი შეიძლება გაგრძელდეს იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებული სიმძნელე, ან საქმის გამოძიების განსაკუთრებული მოცულობა, ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი ჯერ კიდევ არ იძლევა საშუალებას გამოტანილ იქნეს საქმეზე განაჩენი და პატიმრობის ვადის გაგრძელება გამართლებულია.

საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობა გვარეობით ტერმინს „აღკვეთი ღონისძიებანი“ არ იყენებს. სსს კოდექსის შესაბამისი თავი უბრალოდ დასათაურებულია,

<sup>36</sup> ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, 1999, 138;

როგორც: „სასამართლო კონტროლისა და დროებითი პატიმრობის შესახებ“. განცალკევებით დგას გირაო, თუმცა იგი სასამართლო კონტროლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

საფრანგეთის სსს კოდექსისი 137-ე მუხლის თანახმად „ განსახილველად მიცემული პირი პრეზუმცირებულია უდანაშაულოდ და თავისუფალი რჩება. თუმცა გამოძიების ამოცანების განხორციელების ან უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით იგი ექვემდებარება სასამართლო კონტროლს ერთ-ერთ ან რამდენიმე ზომას. თუ აღნიშნული მიზნების მისაღწევად ასეთი ზომები არასაკმარისია, მაშინ, გამონაკლისის სახით, იგი მოთავსდება დროებით პატიმრობაში”.

საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, დროებითი პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ დანაშაულთა და იმ გადაცდომათა საქმეებზე, რომლებისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ 3 წლის ვადით - თუ ეს პირველად ჩადენილი ქონებრივი ხასიათის გადაცდომაა, მაშინ - თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ 5 წლის ვადით. თუმცა ეს შეზღუდვები ძალას კარგავენ , თუ პირი თავს არიდებს სასამართლო კონტროლთან დაკავშირებულ მოვალეობებს და აღკვეთის ღონისძიება შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით (სს კოდექსი,143-1 მუხლი).

საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, დროებითი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს იმ მონაცემთა არსებობა, რომელიც მოწმობენ ერთ-ერთ შემდეგ გარემოებაზე, რომ ეს ღონისძიება:

- ერთადერთი საშუალებაა საქმეზე მტკიცებულებათა შესანახად, მოწმეებზე ( დაზარალებულებზე) ზეწოლის განხორციელების ან მონაწილეთა შორის გარიგების წინააღმდეგ;
- აუცილებელია განსახილველად მიცემული პირის დასაცავად, დანაშაულთა ჩადენის ან მათი განახლების აღსაკვეთად, ანდა პირის მართლმსაჯულების განკარგულებაში ყოფნის უზრუნველსაყოფად;

- ერთადერთი საშუალება, რომ ანაზღაურდეს საზოგადოებრივი წესრიგისათვის დანაშაულით მიყენებული ზიანი (დანაშაულის სიმძიმის, მისი ჩადენის განსაკუთრებულ გარემოებათა ან მიყენებული ზიანის მნიშვნელობიდან გამომდინარე).<sup>37</sup>

ფრანგული კანონმდებლობის მიხედვით, პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თავისუფლებისა და პატიმრობის მოსამართლე, რომელსაც გამოაქვს მოტივირებული დადგენილება. იგი მოცემულ საკითს განიხილავს, მხოლოდ გამოძიების მოსამართლის ინიციატივით, რომელიც თვლის, რომ ამისათვის საკმარისი საფუძველი არსებობს (თუ დროებითი პატიმრობის ინიციატორად გამოდის პროკურორი, მაშინ იგი ვალდებულია შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს გამოძიების მოსამართლეს. მისი პირდაპირი მიმართვა თავისუფლების და პატიმრობის მოსამართლესთან დაუშვებელია. გამოძიების მოსამართლეს უფლება აქვს, დადგენილების გამოტანის გარეშე უარი უთხრას პროკუროს, საკითხის თავისუფლებისა და პატიმრობის მოსამართლისათვის გადაცემაზე). ტარდება , ე.წ. „შეჯიბრებითი კამათი“, ესე იგი თავისუფლებებისა და პატიმრობის მოსამართლემ უნდა მოიწვიოს თავისთან პროკურორი, ბრალდებული და დამცველი და მოუსმინოს მათ მოსაზრებებს მოცემული საკითხის შესახებ.

საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, დროებით პატიმრობის ზღვრული ვადა 2 წელს შეადგენს, თუ სასჯელია არ აღემატება 20 წლით თავისუფლების აღკვეთას და 3 წელს - თუ აღემატება. მოცემული ვადა მატულობს, შესაბამისად, 3 დან 4 წლამდე, თუ ქმედება ან ქმედების ეპიზოდი ჩადენილია საფრანგეთის გარეთ. პატიმრობის ზღვრული ვადა ნებისმიერ შემთხვევაში შეადგენს 4 წელს საშიშ დანაშაულთა ზოგიერთ კატეგორიებზე (მაგლითად, ტერორიზმი ან ნარკოტიკებით ვაჭრობა.

<sup>37</sup> დ.გუცენკო - დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, 2007, 541;

## დასკვნა

პირის თავისუფლებისა და სხვა უფლებების უფლების განუხრელი დაცვით სახელმწიფო ხელს უწყობს თავისი უსაფრთხოების დაცვას, რომლის გარეშეც შეუძლებელია ადამიანის უფლებების სრულყოფილი რეალიზება. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს თავისუფლების შეზღუდვების საფუძვლებისა და წესის მკაცრი საკანონმდებლო რეგლამენტაციის პარალელურად, დაკავების უფლებამოსილების მქონე პირთა წრის შეზღუდვას. სსსკ შეავიწროვა თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილების მქონე პირთა წრე და მათ მიაკუთვნა მხოლოდ გამოძიების ჩატარების უფლების მქონე ორგანოს ის თანამშრომლები, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, აწარმოებს გამოძიებას ან სისხლისსამართლებრივ დევნას. საპროცესო კანონმდებლობა კრძალავს კერძო პირების მხრიდან ბრალდებულის დაკავების შესაძლებლობას სსსკ-ის 171-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებშიც კი [მათ შორის, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის ფაქტზე პირის წასწრების შემთხვევა], რითაც უზრუნველყოფს დაცვის დამატებითი გარანტიების დადგენას. ამავდროულად, როგორც აღინიშნა, სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და პიროვნულ თავისუფლებას შორის ჭეშმარიტი ბალანსის დაცვისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვისას სისხლისსამართლებრივი პროცესი ემყარებოდეს საგამონაკლისო საფუძველს, იყოს განსაკუთრებული ზომა, ობიექტურად გამართლებული და გონივრულად ხანგრძლივი.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, საპროცესო იძულებითი ღონისძიების სახით დაკავების გამოყენებისას ზედმეტად ზღუდავს პროკურატურის, როგორც საგამომიებო ორგანოს კომპეტენციას. კერძოდ სსსკ-ის 171 მუხლი მიუთითებს, რომ თუ არსებობს პირის მიმალვის ან სასამართლოში არ გამოცხადების საფრთხე, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, პირის დაკავებისათვის საჭიროა მოსამართლის განჩნება, რომელიც გაიცემა პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე.

გასაგებია, რომ სასამართლოს ჩართვა, პირის მიმართ იძულებითი ღონისძიების სახით დაკავების გამოყენების დროს, პირველივე წუთებიდანვე ემსახურება დაკავებულის კონსტიტუციითა და საერთაშორისო კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებების არა კანონიერი შეზღუდვის საკითხს და აღნიშნულის აღსაკვეთად ერთგვარ პრევენციულ ხასიათსაც ატარებს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული დიდ საფრთხეს უქმნის გამოძიების მიმდინარეობას, მტკიცებულებათა მოპოვების პროცესსა და საქმეზე საბოლოო ჭეშმარიტების დადგენას. ვინაიდან დაყოვნებამ, მოსამართლის განჩინების მოლოდინმა შესაძლოა აზრი დაუკარგოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას ან პირის დაკავებას, მიზნის გაქრობის გამო.

საპროცესო კანონმდებლობა მიმალვის საფრთხეს, იმ ლოგიკით, რომ პირის მიმალვის შემთხვევაში იგი არ გამოცხადდება გამოძიებისა და სასამართლოში, ანიჭებს „ორმაგ“ მნიშვნელობას და რთავს საგამოძიებო ორგანოს ნებას, აღნიშნული საფუძველით, განჩინების გარეშე დააკოვოს პირი. თუმცა კანონმდებელი მიდის მისსავე ლოგიკის წინააღმდეგ, როცა საგამოძიებო ორგანოს, მტკიცებულებათა განადგურების და ახალი დანაშაულის ჩადენის საფუძველების არსებობისას, არ აძლევს უფლებას განჩინების გარეშე დააკავოს პირი.

მიმალვის საფრთხე გაცილებით ნაკლებ მნიშვნელობის საფრთხედ მიმაჩნია ვიდრე, მტკიცებულებათა განადგურება ან ახალი დანაშაულის ჩადენა. ვინაიდან, პირის მიმალვის შემთხვევაში სახელმწიფო ფლობს შესაძლებლობებს დადგინოს აღნიშნული პირის ადგილსამყოფელი, მასზე ძებნის გამოცხადებით, როგორც შიდასახელმწიფოებრივი ასევე საერთაშორისო მაშტაბებით.

თავის მხრივ, პირის მიმალვა არსებით გავლენას ვერ ახდეს სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობაზე, მტკიცებულებათა მოპოვების პროცესზე. ვინაიდან, გამოძიებისათვის ერთი „ფასი“ აქვს, მიმალულ პირსა და იმ პირს, რომელიც მართალია თავს არ არიდებს გამოძიებასა და სასამართლოში გამოცხადებას, მაგრამ იყენებს მისთვის კანონით მინიჭებულ დუმილის უფლებას.

სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია მტკიცებულებათა განადგურებას ან ახალი დანაშაულის ჩადენას. აღნიშნული საფრხეების რეალიზაციის შემთხვევაში შეუძლებელია თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა. მტკიცებულებათა განადგურების შემთხვევაში შეუძლებელია აღნიშნული მტკიცებულების შემდგომ მოძიება ან ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში იმ კონდიციაში დაბრუნება, რაც მის ჩადენამდე არსებობდა. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა მეტ წილად შესაძლებელია მიმალვის რეალიზების შემთხვევაში, ვინაიდან პირის გამოცხადების ან იძულებითი მოყვანის შემდგომ შესაძლებელია საქმის იმ სტადიიდან განახლება, როდესაც პირმა თავი აარიდა გამოძიებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ კანონმდებელმა უსაფუძვლოდ მიანიჭა „მიმალვის საფრთხეს” ორმაგი ხარისხი. შესაბამისად, ობიექტური, სწრაფი და ეფექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად მიმაჩნია, რომ საგამოძიებო ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება მტკიცებულებათა განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის არსებობისას, სასამართლოს განჩინების გარეშე დააკავოს პირი, როგორც ეს გათვალისწინებული იყო 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსით.

მოსაზრებას, რომ დაკავებას არ უნდა სჭირდებოდეს სასამართლოს განჩინება ამყარებს თვით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. ნებისმიერი დაკავების მიზანს წარმოადგენს ის, რომ დაკავებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნეს პატიმრობა. თავის მხრივ, საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საფუძვლად მიუთითებს მხოლოდ იმ საფუძვლებს, რაც ამავე კოდექსის 171-ე მუხლით გათვალისწინებულია, როგორც დაკავების გამოყენების საფუძველი. ე.ი. დაკავება და დაპატიმრება, წარმოადგენს იძულებითი ღონისძიებების ისეთ სახეს, რომელთაც გააჩნიათ საერთო საფუძვლები, მიზნები და დანიშნულება, მათ შორის რეალური განსხვავება, მხოლოდ ხანგძლივობაშია.

საინტერესოა, თუ რა უნდა განიხილოს ან იმსჯელოს სასამართლომ, როდესაც პირი დაკავებულია სასამართლო განჩინების საფუძველზე და სახელწიფო ბრალდება



დაკავებულის მიმართ, იგივე საფუძვლებით რაც არსებობდა მისი დაკავებისას, აღკვეთის ღონისძიების სახით ითხოვს პატიმრობის შეფარდებას. ვინაიდან, აღნიშნულ დროს, ყველა საკვანძო საკითხი, რომელზეც სასამართლომ უნდა იმსჯელოს, უკვე ნამსჯელია იმავე ინსტაციის სასამართლოს მიერ. უბრალოდ, დამატებით 48 საათში, ბრალდების მხარე უზრუნველყოფს მტკიცებულებათა მაღალი ხარისხით წარდგენას, რაც მისცემს მოსამართლეს მყარ გარანტიებს დაკავების განჩინებას შუცვალის სახელი დაპატიმრების განჩინების სახით.

ოპონენტთა აზრით, დაკავებისათვის სასამართლო განჩინების არსებობა აუცილებელია, ვინაიდან არ მოხდეს დაკავებულის უფლებების თვითნებური შეზღუდვა, მაშინ როცა, არ არსებოს დაკავების საფუძველი. თუმცა აღნიშნული საშიშროება ფაქტობრივად არ არსებობს, ვინაიდან ბრალდებულის პირველი წარდგენისას, სასამართლო პირველ რიგში ამოწმებს დაკავების საფუძვლების არსებობას, ანუ დაკავების კანონიერებას. თავის მხრივ, თუ დაკავება განხორციელდა შესაბამისი საფუძვლის არ არსებობით, სასამართლო დაუყოვნებლივ ათავისუფლებს დაკავებულს, რაც საფუძველია მის მიმართ პატიმრობის არ გამოყენებისა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა პატიმრობის გამოყენების საფუძველი.

საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს პირის უფლებას მიიღოს შესაბამის გარანტია უკანონოდ დაკავების ან დაპატიმრების გამო. კერძოდ, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით „უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება“ ხოლო 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად „ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სხელმწიფო სახსრებიდან. ე.ი. საგამომიებო ორგანოსათვის, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელისათვის, ცნობილია, რომ მის ხელთ არსებული უფლებების გადამეტებისათვის, დაკავების და დაპატიმრების არასწორად გამოყენებისათვის, თვითონვე აგებს პასუხს.

შესაბამისად დაკავების განჩინების გაუქმებით, არ შეიზღუდება პირის კანონიერი უფლებები და თავისუფლებები (აღნიშნულ არ უშვებს თვით საკანონმდებლო სფერო), ხოლო განჩინების გარეშე დაკავების უფლება, შესაბამის საფუძვლით, აამაღლებს საგამოძიებო ორგანოთა დანიშნულებას საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის სახით.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სსსკ ეყრდნობა პირის თავისუფლების პრეზუმფციის პრინციპს, ადგენს დაპატიმრებისა და დაკავების საგამონაკლისო საფუძვლით გამოყენების პრინციპს, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და სტანდარტების დაკმაყოფილება სისხლის სამართლის პროცესში მნიშვნელოვანწილად მაინც დამოკიდებული იქნება, ერთი მხრივ, პროცესის მწარმოებელი პირების კეთილსინდისიერებასა და მათთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელებაზე და, მეორე მხრივ, საპროცესო კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, მასში ცვლილებების შეტანაზე ან საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დადგენაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2015 წლის მდგ.;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2015 წლის მდგ.;
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2015 წლის მდგ.;
4. საქართველოს კანონი პროკურატურის შესახებ, თბ., 2015 წლის მდგ.;
5. საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, თბ., 2015 წლის მდგ.;
6. ბენიძე ვ., დაპატიმრებისა და შინა პატიმრობის აღკვეთ ღონისძიებად გამოყენების პრობლემარეკა, 2001;
7. ბენიძე ვ., განსასჯელის პატიმრობაში ყოფნის ვადების გამოთვლის თავისებურებანი, ჟურნალი „სამართალი“, N1-2, 2003;
8. გაბისონია ი., დაკავების დაპატიმრებად ტრანსფორმირების პრობლემატიკა, სამართალგამოყენებითი პრაქტიკისა და ახალი კოდექსის პროექტის მიხედვით. ქართული სისხლის სამართლის მიმოხილვა, 2004;
9. გაბისონია ი., აღკვეთი ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლის პრობლემატიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხი, 2001;
10. გუცენკო დ., დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, 2007;
11. დეკანოზიშვილი გ., დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლის სამართალწარმოებასა და კრიმინალისტიკაში (დისერტაცია),
12. ლეპერტი დ., დაკავება, როგორც სისხლის სამართლებრივი საპროცესო იძულებითი ღონისძიება, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის მიხედვით, აღმნახი 2004 №19.
13. მაკბრაიდი ჯ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2011;
14. პრადელი ჟ., შედარებით სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2011;
15. ლიჩი ფ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, 2013;
16. ლომსაძე ჯ., სისხლის სამართლის პროცესი, 2012;

17. ფაფიაშვილი ლ., ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, სტატიათა კრებული, 2010.
18. ფაფიაშვილი ლ., თავისუფლება შემზღვეველი საპროცესოიძულების ღონისძიებების გამოყენების საერთაშორისო - სამართლებრივი სტანდარტები, 2010;
19. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, [www.legalportal.ge](http://www.legalportal.ge);
20. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;
21. საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ;
22. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, 1999;
23. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2009;
24. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება #2/1/415, 06.04.2009;
25. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის № 2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
26. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის № 2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
27. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება π2/1/415,06.04.2009;
28. The Constitutional Court of the Republic of Croatia, CRO-2006-1-001, 7 December 2005;
29. Human Rights in Administration of Justice: a Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, UNITED NATIONS, New York and Geneva, 2003;